ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 2014 №214 (6525) ფასი: 30 თეთრი

9 სექტემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი
დანაშაული ალარ მოხდება ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# „გიორგი მარგველაშვილმა გიგა ბოკერიასთან შეხვედრებს მოუხშირა“



## ხელისუფლება წამლების რევოლუციას მიიღებს

გვ.3

„ვიღაცები დაიჭირეს, მაგრამ კანონის უზენაესობა არ გავრცელდა იმ პირებზე, რომლებიც პოლიტიკას იყვნენ ამოფარებულები. ციხეში არავის წასვლა არ მიხარია, მაგრამ, თუ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, ის ციხეში უნდა წავიდეს. სანამ კანონის უზენაესობა არ დამკვიდრდება, არაფერი გამოვა. თუ ამას მივაღწიეთ, მაშინ ქვეყანაში კრიმინალთან საბრძოლველად არანაირი რეიდები აღარ იქნება საჭირო".



## ირაკლი ღარიბაშვილი: „მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება“



გვ.5

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „საავთიაქო ექიმის გამოჩენამ სერგეენკოს რეფორმა თავდაყირა დააყენა“

გვ.3





ISSN 1987-9385

გვ.4

## ფონიჭალაში ნარკორეალიზატორი დააკავეს

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას სისტემატურად ახდენდა.

## მურმან დუმბაძე აჭარის მთავრობას გადადგომისკენ მოუწოდებს



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე, აჭარის მთავრობას მოუწოდებს, რომ დროულად გადადგეს. დუმბაძის განცხადებით, ის აქამდე ნეიტრალურ კომენტარებს აკეთებდა, ახლა კი აჭარის უმაღლეს საბჭოს უჭერს მხარს.

„აჭარის უმაღლესი საჭოს დეპუტატმა განაცხადა, რომ უმაღლეს საბჭოს მთავრობაზე კონტროლის გახორციელების მექანიზმი არა აქვს ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ შესაძლებელია დეპუტატმა აჭარის მთავრობას წერილი გაუგზავნოს და პასუხი არ მიიღოს.

მე აქამდე მაქსიმალურად ნეიტრალურ მდგომარეობაში ვიყავი და ვაკეთებდი კომენტარებს, რომ ეს დაპირისპირება, ხელისუფლების ორ სხვადასხვა შტოს შორის ურთიერთშეჯიბრისა და კომპრომისის მოძებნის გზაა. მაგრამ, ახლა ჩემი სიმპათიები აჭარის უმაღლესი საბჭოს მხარეს იხრება"– განაცხადა

ნიუსპრესი

## პაატა ზაქარეიშვილი ანდრეს მამიკინსს შეხვდა



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, გუშინ, ევროპარლამენტის წევრს, ევროპარლამენტში საქართველოს თემაზე მომხსენებელს, ანდრეს მამიკინსს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა კონფლიქტების მოწესრიგების კუთხით არსებული მდგომარეობა განიხილეს. კერძოდ, ევროპარლამენტარი კონფლიქტების მოწესრიგებისდმი საქართველოს მთავრობის მიდგომითა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით დაინტერესდა.

ზაქარეიშვილის განცხადებით, ანდრეს მამიკინსი ასევე აინტერესებდა თუ რა ეტაპზეა „კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" ცვლილების შეტანის პროცესი.

„მე მას ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე და იმედი გამოვთქვი, რომ ეს პროცესი მალე განახლდება", – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ანდრეს მამიკინსი საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფება. ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდება და ქვეყანას დღეს დატოვებს.

ნიუსპრესი

## მთავარ პროკურატურაში მიმდინარე წლის 6 თვეში 4 მილიონ ლარამდე პრემია გაიცა

საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარე წლის 6 თვეში, თანამდებობისა და არათანამდებობის პირებზე, მთლიანად, 3,96 მილიონი ლარის ოდენობით პრემია გაიცა.

ინფორმაციას ამის შესახებ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" ავრცელებს.

ორგანიზაცია უწყებას საჯარო ინფორმაციის მიუწოდებლობაშიც ადანაშაულებს.

„მართალია ორგანიზაციას არ მოეწოდა ინფორმაცია პროკურატურის თანამდებობის პირებზე 2013 წლის 1 იანვრიდან წერილის მიღების მომენტამდე გაცემული პრემიების შესახებ ცალ-ცალკე სახელის და გვარის მითითებით, თუმცა მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჯამურად, საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებს, 2013 წელს მიღებული აქვთ პრემია 1 646 027 ლარის ოდენობით, ხოლო 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში 852 731 ლარის ოდენობით. რაც შეეხება პროკურატურის თანამშრომლებზე (გარდა თანამდებობის პირებისა) ამავე დროის პერიოდში გაცემულ პრემიებს, აღნიშნულთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ 2013 წელს პროკურატურის თანამშრომლებზე გაცემულია 4 254 830 ლარის ოდენობით პრემია, ხოლო 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კი პრემია 3 114 115 ლარის ოდენობით პრემია" – აცხადებენ ორგანიზაციაში.

ნიუსპრესი

## სოსო ცინცაძე: „დიახ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ილუზიაა"



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ილუზიაა. ამის შესახებ მან „ნიუსპრესთან" საუბრისას, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მანამ, სანამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტი არ მოგვარდება, ქვეყანას ნატოში გაწევრიანების ილუზიაც არ უნდა ჰქონდეს.

„არავინ იცის 10-15 წლის შემდეგ რა იქნება, მაგრამ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების დღევანდელი პერსპექტივა ნულოვანია. დაახლოებით, 15 წლის წინ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთიც აღიარებდა და გამოდიოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული დავა არც ერთ თავის მეზობელთან არ ჰქონდა. ამ დროს კი, ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულების ტექსტში გარკვევით წერია, რომ ალიანსის წევრი ვერ გახდება სახელმწიფო, რომელსაც თავის მეზობელთან ტერიტორიული დავა აქვს" – აღნიშნა ცინცაძემ.

მისივე თქმით, ტერიტორიული დავა ხანგრძლივი მოქმედების ნაღმია, ამიტომ, ალიანსს სულაც არ აქვს სურვილი, თავის რიგებში მიიღოს წევრი, რომელმაც ალიანსის წევრობით გულმოცემულმა შესაძლოა, თავისი ტერიტორიული პრეტენზიების განხორციელება ძალით დაიწყოს.

პოლიტილოგის განცხადებით, კომუნიკეს 31-ე მუხლში, რომელიც პირდაპირ საქართველოს ეხება, გარკვევით წერია, რომ ტერიტორიული დავები და გაყინული კონფლიქტები, მოსახლეობას საშუალებას არ აძლევს დასავლურ სტრუქტურებში ჩაერთოს.

„დიპლომატიური ტერმინები რომ ხალხურ ენაზე გადავიყვანოთ, იქ წერია, რომ არსებული კონფლიქტები ალიანსში გაწევრიანებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ჩვენ ეს ტერიტორიები კანონმდებლობით ოკუპირებულად ვაღიარეთ, ე.ი. დავადასტურეთ, რომ მეზობელთან დავა გვაქვს და არ ვეგუებით ამას. ფაქტია, რომ როგორც ეშმაკი საკურთხეველს, ისე გაურბის მთელი დასავლეთი რუსეთთან ძალოვანი დაპირისპირების შორეულ პერსპექტივასაც კი, არამედ პირიქით – სანქციები, სანქციებიო, მამაო ჩვენოსავით იმეორებენ", – განაცხადა სოსო ცინცაძემ.

მისივე მტკიცებით, დასავლეთი რუსეთთან ძალოვან დაპირისპირებას არ აპირებს, შესაბამისად, ომი გამორიცხულია.

„უმცირესობის პოზიცია, რომ უელსის სამიტზე „მაპ"-ის მიღება შეგვეძლო, არასწორია. ჩემი პოზიციაა, რომ მაქსიმუმი მივიღეთ. ამაზე მეტს ჩვენ ვერასდროს ვერ მივიღებთ. მივიღეთ ის, რაც უნდა მიგვეღო. თვითონ ღარიბაშვილი „კალაშნიკოვით" რომ წასულიყო საომრად ლუგანსკში ან დონეცკში, ჩვენ ამაზე მეტს მაინც არ მოგვცემდნენ. ეს თქვა ბურჯანაძემაც, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, დღეს ნატო-ში გაწევრიანება ილუზიაა. რა იქნება 15-20 წლის შემდეგ, როდესაც პუტინი აღარ იქნება, არავინ იცის" – აღნიშნა პოლიტოლოგმა.

რაც შეეხება საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ბაზის ამოქმედებას, პოლიტოლოგის მოსაზრებით, ეს საწვრთნელი ცენტრი იქნება ის, რაც რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობას კიდევ უფრო გაამწვავებს.

პოლიტოლოგის შეფასებით, ეს კიდევ ერთი სეგმენტი იქნება, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის საერთო ენის გამონახვას უფრო რთულსა და შეუძლებელს გახდის.

„ვინ იტყვის დღეს, რომ მოსკოვი გახარებული შეხვდება საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის გახსნას? ფიზიკურად, ბაზის გახსნა ჩვენზე არ აისახება, მაგრამ ნატო-ში ჩვენს გაწევრიანების პერსპექტივაზე, რასაკვირველია, ეს აისახება", – აღნიშნა პოლიტოლოგმა „ნიუსპრესთან" საუბარში.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც, ბოლო 18 წლის განმავლობაში, საქართველო გამუდმებით ელოდა, რომ სიტყვები – „ნატო-ს კარი ღიაა" რეალობად იქცეოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კარი საქართველოსთვის დახურულია.

მისივე თქმით, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, რასაც დღეს ხელისუფლება, აკეთებს როდესაც ლაპარაკობს, რომ ნატოს სამიტი საქართველოსთვის დიდი წარმატება იყო.

ნიუსპრესი

## ვანო მაჭავარიანი: „პრეზიდენტი ჯიუტია, შეიძლება, მან გაეროში წასვლა გადაიფიქროს"



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ყოფილი მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის მტკიცებით, პრეზიდენტი საკმაოდ ჯიუტია იმისთვის რომ გაეროს ასამბლეაზე წასვლა გადაიფიქროს.

როგორც მაჭავარიანმა „კვირას" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ერთადერთი რამაც შეიძლება პრეზიდენტს გაეროს ასამბლეაზე წასვლა გადააფიქრებინოს მისი და პრემიერ ღარიბაშვილის პირისპირ შეხვედრა იქნება. მაჭავარიანის მოსაზრებით პრემიერმა პრეზიდენტს პირადად უნდა თხოვოს რომ წასვლის შესახებ გადაწყვეტილება შეცვალოს.

„მე ვიცნობ პრეზიდენტ მარგველაშვილს და შემიძლია გითხრათ, რომ ის საკმაოდ ჯიუტი ადამიანია. ერთადერთი, რამაც შეიძლება მას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წასვლა გადააფიქრებინოს, მისი და პრემიერის პირისპირ შეხვედრა იქნება. პრემიერმა მას პირადად უნდა თხოვოს, რომ მან გაეროს ასამბლეაზე წასვლა გადაიფიქროს", – განაცხადა ვანო მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, გაეროს გენერალური ასამბლეის 69 სესია ნიო-იორკში 26 სექტემბერს გაიმართება.

მედიანიუსი

## გენერალ-ლეიტენანტი ჯოზეფ ანდერსონი ქართველ სამხედროებს შეხვდა

ყანდაღარის საავიაციო ბაზას აისაფ-ის გაერთიანებული სარდლობის მეთაური (Iჯჩ ჩომმანდერ) გენერალ-ლეიტენანტი ჯოზეფ ანდერსონი ეწვია.

ამერიკელმა გენერალმა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები სადილზე მიიწვია და აისაფ-ის მისიაში შეტანილი წვლილისთვის ქართველ ჯარისკაცებს მადლობა პირადად გადაუხადა. სადილის დასრულების შემდეგ, მან ხუთ ქართველ სამხედრო მოსამსახურეს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, – აცნობეს „მედიანიუსს" საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან.

ამერიკელ გენერალთან ერთად, ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებულ ქართულ ქვედანაყოფს „რეგიონალური სარდლობა სამხრეთის" მეთაური, გენერალ-მაიორი მაიკლ ბილსიც შეხვდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთში აისაფ-ის მისიის დასრულების ფაზაზე იმყოფება. ბატალიონზე დაკისრებულ მოვალეობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სრული სპექტრის ამოცანების შესრულება შედის.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი რამდენიმე კვირაში სამშობლოში დაბრუნდება.

მედიანიუსი

## დიმიტრი შაშკინი ალოდინეს და შემდეგ შემოუშვეს




წინა ხელისუფლების მთავრობის წევრის დიმიტრი შაშკინის თქმით, ცოტა ხნის წინათ ის საქართველოში 1-საათიანი ლოდინის შემდეგ შეუშვეს.

როგორც შაშკინმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოში დაბრუნებისას, მას შემდეგ, რაც მის პასპორტს აეროპორტის თანამშრომლები გაეცნენ, ცვლის უფროსმა ქვეყანაში შემოსვლის უფლება არ მისცა. „ბოლოს, როდესაც საქართველოში ჩამოვედი 1საათი ცვლის უფროსს ხელი არ დაუჭერია ღილაკზე, რომ უფლება მქონოდა შევსულიყავი ქვეყანაში. პატრულის თანამშრომელი და ცვლის უფროსი კი თვალებით, ჩემთვის გაურკვევლად ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. აი, რა ხდება ახლა ჩვენს ქვეყანაში" განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

მედიანიუსი

## მარიამ ჯაში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლდა

მარიამ ჯაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლდა. შესაბამისი ბრძანება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5 სექტემბერს გამოსცა, რომელიც მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე, გათავისუფლდეს მარიამ ჯაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან" , – ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში.მარიამ ჯაშის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გათავისუფლება, მის ახალ თანამდებობაზე დანიშვნას უკავშირდება. ის პრემიერის ინიციატივით შექმნილი „სოლიდარობის ფონდის" ხელმძღვანელია.

ნიუსპრესი

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები 30 ოქტომბრისთვის დაინიშნა

ვახანის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება.

როგორც ცესკოდან „მედიანიუსს" აცნობეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქის 48/05 ვახანის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები 2014 წლის 30 ოქტომბერს გაიმართება.

შუალედური არჩევნების ჩატარების მიზეზი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა დეპუტატის მიერ მანდატზე უარის თქმა გახდა. მათ საკრებულო პროტესტის ნიშნად, 2012 წლის 18 მაისს დაკარგული რეინჯერის ვერპოვნის გამო დატოვეს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გიორგი მარგველაშვილმა გიგა ბოკერიასთან შეხვედრებს მოუხშირა"

## ხელისუფლება წამლების რევოლუციას მიიღებს

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ უნდა გაიყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ორ ნაწილად, რა შეხვედრებს მართავს ჩუმ-ჩუმად პრეზიდენტი, რა აუვარდა თავში პრემიერს, რა შედეგით დასრულდება რეცეპტებით წამლების გაცემა – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.**

**ალეკო შალამბერიძე:**

– ის, რაც ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის ხდება, უკვე ნერვების მომშლელია. კარგად მესმის, რომ სააკაშვილის შეცვლილ კონსტიტუციაში პრემიერის და პრეზიდენტის უფლებები გაწერილი არ არის. თუმცა ამ პიროვნებებს შორის პიროვნულ დაპირისპირებას აქვს ადგილი. დაპირისპირება და უთანხმოება ყველა მთავრობის შიგნით ხდება. სამწუხარო ის არის, რომ პრეზიდენტი და პრემიერი ამ დაპირისპირებას მთელ მსოფლიოს აგებინებენ. ისინი თბილისში დალაპარაკებას ვერ ახერხებენ.

***– რატომ ვერ ახერხებენ? თბილისის ჰავა არ მოსწონთ?***

– ეტყობა, ჰავის ამბავია, თორემ სხვა არაფერი უშლის დალაპარაკებას ხელს. ირლანდიის კონსტიტუციაში ზუსტად წერია, რომ პრეზიდენტი პრემიერის თანხმობის გარეშე ქვეყნიდან ვერ გავა. რაც სწორ ნორმად მიმაჩნია. ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი ყოველთვის უნდა რჩებოდეს. ჩვენთანაც თუ ასე იქნება, ცუდი არაფერი მოხდება. საამისოდ კი კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს. ოღონდ მანამდე ღარიბაშვილმა თავისი ამბიციები უნდა დაიოკოს. ის ახლა მთავრობის მეთაურია და ისე მოიქცეს, როგორც ამ თანამდებობაზე მყოფ პირს შეეფერება. კეთილი ინებოს და დაელაპარაკოს მარგველაშვილს. გაარკვიოს, რომელი მათგანი წავა გაეროში.

***– აქ რა არის გასარკვევი? გაეროდან მოწვევა ღარიბაშვილს არ მოუვიდა?***

– პრეზიდენტიც და პრემიერიც ამბობენ, რომ მათ სახელზე მოვიდა მოწვევა. ეს ყველაფერი უკვე ბავშვურ თამაშს ემსგავსება და სასაცილოც აღარ არის. იმის მაგივრად, რომ შსს გაყონ და უშიშროების სამსახური ქვეყნის მეთაურს დაუქვემდებარონ, ყველა დონეზე მიდის მისი აბუჩად აგდება და დამცირება. ამ ვითარებაში მარგველაშვილი ძალიან ღირსეულად იქცევა.

***– რაში გამოიხატება ღირსეულად მოქცევა?***

– არ ყვება ამ კინკლაობას და მათ პროვოკაციებს. მისი სიმშვიდე დასაფასებელია. ბოლოს ეტყობა, ეგეც გაბრაზდა და პასუხის გაცემა გადაწყვიტა. ის ამათ ჯინაზე მიდის ამერიკაში.

***– თქვენი აზრით, არ უნდა წავიდეს?***

– აქ უნდა დარჩენილიყო და თავი დაეფასებინა. ამან ბოლომდე ვერ გაძლო და ახლა გაეროში საქართველოდან ორი დელეგაცია წავა. ერთს პრემიერი უხელმძღვანელებს, მეორეს – პრეზიდენტი.

***– ერთ დელეგაციად რომ წავიდნენ, არ შეიძლება?***

– როგორ არ შეიძლება. ოღონდ ამ შემთხვევაში ერთი პრობლემა იჩენს თავს. იმაზე წავა დავა, თუ ვინ იქნება დელეგაციის მეთაური.

***– ჩვენ მათ შორის არსებულ გაუგებრობას გაგებით ვეკიდებით, მაგრამ იქ, გაეროში, რას იტყვიან, როცა მზიური საქართველოდან ორი დელეგაცია ჩავა?***

– ჩვენ ხმამაღლა არაფერს არ გვეტყვიან, მაგრამ დარწმუნდებიან, რომ დეგენერატები ვართ.

***– ზემოთ თქვენ შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფაზე ისაუბრეთ. ამ თემაზე პარლამენტში უკვე დაიწო საუბრები. მიიჩნევთ, რომ უშიშროების სამსახური პრეზიდენტს უნდა დაექვემდებაროს.***

– არც ერთი მთავრობა არ არის დაზღვეული აგენტებისგან და შეგზავნილებისგან. უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი მოვალეობა სწორედ ასეთი ხალხის გამოვლენაა. თუ ეს უწყება კვლავ მთავრობის მეთაურის დაქვემდებარებაში იქნება, ამ მიმართულებით ეფექტურად არ იმუშავებს.

***– ვთქვათ და მართლაც გამოეყო შსს-ს უშიშროება, არსებულ ვითარებაში მარგველაშვილს დაუქვემდებარებენ ამ მნიშვნელოვან უწყებას?***

– უშიშროების სამსახურს მარგველაშვილს როგორ მისცემენ? მეტსაც გეტყვით, შსს-ს გაყოფა არ მოხდება! ამის გაკეთებას მთელი რიგი კანონების შეცვლა დასჭირდება. ამ კანონებს მეოცნებეები ოპოზიციაში ყოფნისას აპროტესტებდნენ. ახლა აღარ ახსოვთ. არადა, ბევრი რამ შესაცვლელია. მაგალითად, გასაუქმებელია ის კანონი, რომელიც ქუჩაში ლუდის სმას კრძალავს.

***– ეს მართლა წერია კანონში?***

– მართლა წერია. ეს სააკაშვილის მიერ მოგონილი კანონია.

***– გამოდის, პოლიცია უკანონოდ არ მოქცეულა, როცა ახალგაზრდები ლუდის დალევისთვის დააჯარიმა.***

– უკანონოდ არ მოქცეულა, მაგრამ როგორ შეიძლება ლუდის დალევისთვის ადამიანი დააჯარიმო, თანაც, საქართველოში? აქ არავინ არ გაილეშება ისე, რომ ქუჩაში დავარდეს. ლუდის დალევა არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ იკრძალება. ჩვენ კი, მგონი, ევროპულობაზე გვაქვს პრეტენზია. ასევე არ მომწონს რეიდები, რომელსაც პოლიცია ატარებს.

***– რატომ არ მოგწონთ? კრიმინალს რაღაცნაირად ხომ უნდა ებრძოლონ?***

– ამ რეიდებით ბევრს ვერაფერს მიაღწევენ. ბოროტმოქმედი, რომელსაც ვიღაცის მოკვლა აქვს განზრახული, არც რეიდში მოყვება და არც ლუდს დალევს ქუჩაში. კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაში მე პოლიციას სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ. ამასთან, დავძენ, რომ ეს კარგი საქმე რეიდებით არ გამოვა. რაღაც სხვა მექანიზმია მოსაფიქრებელი. ისე, პოლიცია ღამის 11 საათის შემდეგ ისედაც აჩერებს მანქანებს გონივრული ეჭვის საფუძველზე. ქვეყანაში უნდა იყოს კანონის უზენაესობა.

***– ახლა ასეთი რამ არ არის?***

– არა. ვიღაცები დაიჭირეს, მაგრამ კანონის უზენაესობა არ გავრცელდა იმ პირებზე, რომლებიც პოლიტიკას იყვნენ ამოფარებული. ციხეში არავის წასვლა არ მიხარია, მაგრამ თუ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, ის ციხეში უნდა წავიდეს. სანამ კანონის უზენაესობა არ დამკვიდრდება, არაფერი არ გამოვა. თუ ამას მივაღწიეთ, მაშინ ქვეყანაში კრიმინალთან საბრძოლველად არანაირი რეიდები აღარ იქნება საჭირო.

***– კრიმინალის მომატებას ბევრი საბოტაჟს უკავშირებს. მიაჩნიათ, რომ შსს-ში დარჩენილი მერაბიშვილის კადრები შეგნებულად აფერხებენ ოპერატიულ ღონისძიებებს. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?***

– მეც მაგ აზრზე ვარ. ძალოვანი სტრუქტურები ძველი კადრებით არის სავსე. უკვე 2 წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და ეს ხალხი რატომ არ შეცვალეს? დავიჯერო, მარტო მაღალი პრემიებისთვის მოვიდნენ ხელისუფლებაში.

***– ამბობენ, ოპერატიული მუშაკების ერთბაშად შეცვლა ასე მარტივი არ არისო.***

– კი, ბატონო, იოლი საქმე არ არის, მაგრამ საქართველოში ბევრი პროფესიონალია. ისინი სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოყარა. ამ ხალხს არ აბრუნებენ, სამაგიეროდ, ისეთი ხალხი დატოვეს, რომლებსაც სისხლში აქვთ ხელი გასვრილი. ხელისუფლების სათავეში ქაჯი მოვიდა, რომელსაც ასეთი რამეები არ აინტერესებს.

***– ქაჯი ვინ არის, ივანიშვილი?***

– ივანიშვილი კიდევ სულ სხვა ფენომენია. ამ შემთხვევაში ღარიბაშვილზე მოგახსენებთ. რომელიც არაფრის აზრზე არ არის. ივანიშვილი პოლიტიკაში სააკაშვილის მოსაშორებლად მოვიდა, გააკეთა ეს საქმე და წავიდა. მისმა მემკვიდრემ კი არ იცის, რა გააკეთოს. ის იმის აზრზეც კი არ არის, რისთვის შეიცვალა სააკაშვილის ხელისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალების გზას არ დაადგებოდა.

***– რაში გამოიხატება ნაციონალების გზაზე დგომა?***

– ის დაადგა დიქტატურის გზას. თანამდებობებზე ნიშნავს ტექნოკრატებს. ასე მოიქცა თავის დროზე ფრანკოც. მან მთავრობა ტექნოკრატებით დააკომპლექტა მაგრამ დიდი შედეგი ვერ მიიღო. ამ შეცდომას უშვებს ღარიბაშვილი. მან მთავრობა პოლიტიკური ფიგურებით უნდა დააკომპლექტოს.

***– პოლიტიკური ფიგურებიც არიან მთავრობაში.***

– არიან, როგორ არ არიან. მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილი. ის თავის დროზე დეპუტატიც იყო. მას კარგი გამოცდილება აქვს მიღებული და საკმაოდ კარგი მინისტრია. იგივე შემიძლია ვთქვა პაატა ზაქარეიშვილზეც. მას ჩამოყალიბებული აზრები აქვს და იცის, რა უნდა გააკეთოს.

***– თუმცა ის ისეთ განცხადებებს აკეთებს, მტრისას.***



– ეგ სხვა საქმეა. მთავარია, რომ ის მიზანმიმართულად აკეთებს იმას. მას ჩამოყალიბებული ხედვა აქვს და მიყვება ამ ხაზს. იგივეს ვიტყვი ირაკლი ალასანიაზე. დანარჩენ მინისტრებზე იგივეს ვერ ვიტყვი. როგორ შეიძლება მომეწონოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი. ის ტექნოკრატიც კი არ არის, ძალოვან სტრუქტურაშია ნამუშევარი. მთავრობაში ბევრია ისეთი ხალხი, რომლებიც სააკაშვილის დროს დააწინაურეს.

***– მერე, არ ეშინია ღარიბაშვილს, რომ ამ ხალხმა ერთ მშვენიერ დღეს უღალატოს?***

– გამორიცხულია. ამ ადამიანებს თანამდებობაზე უნდათ ყოფნა და გზას არ გადაუხვევენ. რა სარგებლობას მოუტანს ეს ქვეყანას, ამას უკვე ველარ გეტყვით. ახლა მთელი ქვეყანა პრეზიდენტის და პრემიერის დაპირისპირებით ერთობა.

***– თქვენ თქვით, რომ მარგველაშვილი ღირსეულად იქცევაო. ღირსეული საქციელი იყო მისი მხრიდან, დოკუმენტებს გრიფით „საიდუმლო" რომ არ მოხსნა?***

– ამას არანაირი გამართლება არა აქვს. ერთ ნაწილში ის დადებითად მოვიხსენიე, მაგრამ არის მომენტები, როცა ის გაქაჯდება ხოლმე. სწორედ ქაჯობა იყო ამ დოკუმენტებისთვის გრიფის მოუხსნელობა.

***– ზოგი ვარაუდობს, რომ მარგველაშვილი სააკაშვილისთვის ხელის დაფარებას ცდილობდა. ამ ვერსიას გამორიცხავთ?***

– გამორიცხული არაფერი არ არის. თუმცა ამ შემთხვევაში ის ამიტომ სხვანაირად მოიქცა. მან აღმასრულებელ ხელისუფლებას თავისი ძალა აჩვენა. ხელის დაფარებას გამოვრიცხავ, იმის მიუხედავად, რომ ნაციონალებისადმი სიმპათიებშია შემჩნეული.

***– რაში გამოიხატება ეს სიმპათიები?***

– თავად არასდროს დაუმალია, რომ ნაციონალების მეგობარი იყო. როგორც ამბობენ, ის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

---

შორენა მარსაგიშვილი

# ზურაბ ჭიაბერაშვილი: „საავთიაქო ექიმის გამოჩენამ სერგეენკოს რეფორმა თავდაყირა დააყენა"

მედიკამენტების რეცეპტების გაცემას დიდი წიოკი მოჰყვა. მოსახლეობას უამრავი პრობლემა შეექმნა, რასაც ცოცხალი თავით არ აღიარებს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. იგი ამტკიცებს, რომ რეცეპტები მოსახლეობას მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

– ჯანდაცვის სამინისტრომ რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიის გაფართოება პაციენტებზე ზრუნვის მოტივით ახსნა. მინისტრ სერგეენკოს განცხადებით, „რეფორმას" უნდა შეემცირებინა თვითმკურნალობა და მედიკამენტების უკონტროლო მოხმარება. მინისტრი იმედოვნებდა, რომ ამით არა მხოლოდ უკეთესად ვიმკურნალებდით, არამედ ჩვენი ფინანსებიც დაიზოგებოდა. „საავთიაქო ექიმის" გაჩენამ სერგეენკოს „რეფორმა" თავდაყირა დააყენა: ფარმაცევტული კომპანიის დაქირავებული ექიმები რეცეპტს იქვე, საავთიაქო დახლის გვერდზე წერენ, თან ისე, რომ ამას წინ არათუ შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები, არამედ პაციენტის გასინჯვაც კი არ უძღვის წინ, – აცხადებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

მისი თქმით, რეცეპტების გარშემო განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ სერგეენკოს მეთოდით რეცეპტის სისტემის ასე გაუაზრებლად



გაფართოება თვითმკურნალობისა და მედიკამენტების უკონტროლო მოხმარების მაჩვენებელს ვერ შეამცირებს.

– სამაგიეროდ, უფრო შეგვიმცირებს არჩევანის საშუალებას: კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის მიერ დაქირავებული „საავთიაქო ექიმის" რეცეპტი მხოლოდ იმ კომპანიის ქსელში მოქმედებს. სერგეენკოს „რეცეპტის რეფორმამ" ვერც ჩვენს ჯიბეს უშველა. იმ ქვეყნებში, სადაც რეცეპტის სისტემა არსებობს, რეცეპტით ადამიანები მედიკამენტებს უფასოდ ან მნიშვნელოვანი შეღავათებით იღებენ. თუ მინისტრი სერგეენკო რეცეპტის სისტემას აფართოებდა, მაშინ მედიკამენტების საფასურის გადახდაში მოსახლეობას სახელმწიფო უნდა დახმარებოდა. საყოველთაო ჯანდაცვა კი მედიკამენტებს საერთოდ არ აფინანსებს. შესაბამისად, სერგეენკოს ამ გაუაზრებელმა „რეფორმამ" საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პრობლემები კიდევ ერთხელ გამოავლინა, – ამბობს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი.

მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გადახედოს რეცეპტით გასაცემ მედიკამენტთა ჩამონათვალს, მნიშვნელოვნად შეამციროს იგი და მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. მისი აზრით, ამ თვალსაზრისით სია კრიტიკას ვერ უძლებს, იმდენად არაპროფესიულადაა შედგენილი.

– იმ მედიკამენტებზე, რომლებსაც ჯანდაცვის სამინისტრო რეცეპტით გასაცემთა სიაში დატოვებს, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა აამოქმედოს პროგრამა, რომლითაც ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებსა და სოციალურად დაუცველებს სრულად დაუფინანსებს მოხმარებული მედიკამენტების ხარჯს. მინიმუმ ამ ორი ცვლილების გარეშე „რეცეპტის რეფორმაც" ისეთივე დამანგრეველი აღმოჩნდება ჯანდაცვის სისტემისათვის, როგორც ეს საყოველთაო ჯანდაცვა აღმოჩნდა. ჯანდაცვის სამინისტრომ რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიის გაფართოება პაციენტებზე ზრუნვის მოტივით ახსნა. მინისტრ სერგეენკოს განცხადებით, „რეფორმას" უნდა შეემცირებინა თვითმკურნალობა და მედიკამენტების უკონტროლო მოხმარება. მინისტრი იმედოვნებდა, რომ ამით არა მხოლოდ უკეთესად ვიმკურნალებდით, არამედ ჩვენი ფინანსებიც დაიზოგებოდა, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ნამინისტრალის შეშფოთებას მალევე გამოეხმაურა მოქმედი მინისტრი დავით სერგეენკო. მისთვის წამლების შავი ბაზრის გამოჩენა დიდი ტრაგედია და მოულოდნელობა არ ყოფილა.

– ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილება მისაღები, რომ ის გამოწვევები, რატომაც განხორციელდა ეს ცვლილება კანონში – საავთიაქო ნარკომანია, უხარისხო მკურნალობა და თვითმკურნალობით მიღებული ზიანი გადაწონიდა თუ „შავი ბაზრის" გავრცელების რისკი. სახელმწიფოს მოვალეობა არის შავი ბაზრისგან დაცვა და ამას ახლაც და მომავალშიც განვახორციელებთ ეფექტურად, – თქვა ჯანდაცვის მინისტრმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ფონიჭალაში ნარკორეალიზატორი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ელშად ფ. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით ფონიჭალაში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ელშად ფ.-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია მოახდინა. ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას სისტემატურად ახდენდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული შოთა ლ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაცხვში, თვითნაკეთი პისტოლეტიდან გასროლით გოდერძი ჯ.-ს მუცლის არეში ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შოთა ლ. მომხდარიდან რამდენიმე საათში სოფელ ჭითაწყაროში დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# ადიდასის სამარკო ნიშნის გაყალბებისთვის ორი პირი პასუხისგებაში მიეცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, დიდი ოდენობით კონტრაფაქციული პროდუქციის რეალიზების შემთხვევა გამოავლინა.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, შპს-ს დირექტორმა სულთან შახბაზოვმა და ამავე საზოგადოების თანამშრომელმა დურსუნ ხალილოვმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში „ადიდას“-ის მარკით უკანონოდ ნიშანდებული სპორტული ფეხსაცმელი შეიძინეს.

„საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას, საბაჟო კონტროლისგან დამალვის მიზნით, მარკა „ადიდას“-ი მათი კუთვნილი შპს-ს ლოგოთი დაფარეს, ხოლო შემდეგ, დიდი ოდენობის კონტრაფაქციულ პროდუქციას მოქალაქეებზე, როგორც „ადიდას“-ის სამარკო ნიშნის სპორტულ ფეხსაცმელს ასაღებდნენ“, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

საგამოძიებო სამსახურმა აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის სულთან შახბაზოვი და დურსუნ ხალილოვი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

# პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული ავთანდილ ც. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ქობულეთში, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდით და 35 ცალი საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# პატრულმა ორი მოზარდი სიკვდილს გადაარჩინა

გუშინ, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ლევან ბუიშვილმა ორი მოზარდი სიკვდილს გადაარჩინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით, ვარკეთილის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი სადარბაზოს სარდაფში ხანძარი გაჩნდა, რის გამოც, მთელი სადარბაზო კვამლში იყო გახვეული.

„კვამლმა საცხოვრებელ ბინებშიც შეაღწია, რის გამოც, მაცხოვრებლებს სუნთქვა და ხილვადობა შეეზღუდათ. ასევე, გაჩნდა საშიშროება დენისა და გაზის სადენებზე ცეცხლი გავრცელებულიყო. პატრულმა სადარბაზოს მეორე სართულზე უმეთვალყუროდ დარჩენილი 10 წლამდე ბიჭი და მესამე სართულზე სახლში მყოფი 12 წლამდე გოგონა სადარბაზოდან უვნებლად გამოიყვანა და კვამლით გაგუდვას გადაარჩინა“, – აცხადებს ნინო გიორგობიანი.

**ნიუსპრესი**

# უკრაინაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქე ჩამოასვენეს

უკრაინაში, დონეცკის ოლქში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილი 27 წლის არსენ ბერიძე, 8 სექტემბერს გვიან ღამით საქართველოში გადმოასვენეს.

არსენ ბერიძე 4 დღის წინ დონეცკში, სოფელ ხარცისკში საკუთარ ეზოში ნაღმზე აფეთქდა.

იგი აჭარიდან, ქედას რაიონიდან იყო და ბოლო 10 წელი მშობლებთან ერთად დონეცკში ცხოვრობდა. გადმოსვენების ხარჯები საქართველოს საკონსულომ დაფარა.

**ნიუსპრესი**

# შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციას მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რეგიონში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და პრევენციული ღონისძიებების შედეგად, მოქალაქეებს წარმოადგენინეს და ნებაყოფლობით ჩააბარებინეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი, სხვადასხვა კალიბრის 7682 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 114 ხელყუმბარა, 10 ცალი გადაჭრილი თოფი, 3 პისტოლეტი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სულ ჩაბარებულია: „კალაშნიკოვი“-ს სისტემის 2 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 10 ცალი გადაჭრილი თოფი, 2 ცალი სანადირო თოფი, 3 პისტოლეტი, კუსტარული წესით დამზადებული 4 ცალი მცირეკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, 1 ცალი მსხვილკალიბრიანი შაშხანა, კუსტარული წესით დამზადებული 1 პისტოლეტი, 2 ნაღმმტყორცნი ჭურვებით, 3 კილოგრამამდე ტროტილი, „ერ-გე-დე“-ს და „ეფ-1“-ის ტიპის 114 ხელყუმბარა, სხვადასხვა ტიპის 3 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, 3 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, მსხვილკალიბრიანი საზენიტო იარაღის 23 ვაზნა, 3 სასიგნალო ვაზნა, 12 ცალი საბრძოლო ჭურვის თავი, სხვადასხვა ტიპის 323 ცალი ამფეთქი ფალია, 5 საკვამლე კოჭა, 6 მჭიდი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 7682 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# ინგუშეთში, საქართველოს საზღვართან ახლოს, იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

ინგუშმა ძალოვნებმა, რუსეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს სამალავი აღმოაჩინეს, სადაც ანტისატანკო რაკეტა ინახებოდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ,,რია ნოვოსტი“ ჩრდილო კავკასიის სამართალდამცავ სტრუქტურებზე დაყრდნობით ავრცელებს.

,,მივიღეთ მესაზღვრეების ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯეირახის რაიონში აღმოჩენილია საცავი, სადაც ანტისატანკო რაკეტა ,,ფაგოტი“ ინახებოდა“– წერს რუსული სააგენტო და აღნიშნავს, რომ მათ წყაროს არ დაუკონკრეტებია, როგორ აღმოჩნდა იქ იარაღი და ვინ შეიძლება ამის უკან იდგეს.

რუსული მედიის ცნობით, ამჟამად ადგილზე ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მუშაობენ.

**მედიანიუსი**

# გიგი უგულავა: „ჩემი მთავარი ბრალმდებელი საბჭოთა კაცია“




თბილისის საქალაქო სასამართლში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მერიის დასუფთავების სამსახურში ფიქტიური დასაქმების საქმეს განიხილავენ. „თბილსერვისის“ საქმეზე ბრალდებული თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავაა. როგორც უგულავამ გუშინ გამართულ პროცესზე განაცხადა აღნიშნული საქმე პოლიტიკური ხასიათისაა და მას ბრალი აქვს წაყენებული იმაზე, რასაც დღეს ნარმანია აკეთებს

„კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო რომ ყველ ბრალდება რომელიც ჩემს წინააღმდეგ არის წმინდა წყლის პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ივანიშვილის პროკურატურა მედავება, რომ პარტიის სასარგებლოდ ხალხი დავასაქმე და არა იმას რომ პირადი სარგებლობისთვის რამე მივითვისე, არადა ბოლო 2 წლის მანძილზე მთელი მათი პროპაგანდა ეფუძნებოდა იმას, რომ მე მივითვისე. როგორც ხედავთ არცერთ საქმეზე რომელიც ჩემს წინააღმდეგ არის, არ არის საუბარი იმაზე, რომ მე რამე პირადი გამორჩება მქონდა. მე არ ვაღიარებ არცერთ ბრალდებას, ძალიან მალე გამოჩნდება რომ ფინანსურ პოლიციაში ძალიან ვულგარულად და ზეწოლით ხდებოდა დაკითხვა და მხოლოდ ის აინტერესებდათ ვის რა პარტიული ნიშანი და კუთვნილება ჰქონდა. ამ სამსახურის შექმნის მოტივაცია ერთადერთი იყო – უამრავი საჩივარი შემოდიოდა თბილისელებისგან ბუნკერების შესახებ, როგორც ხედავთ ამ ადამიანმა თავად განაცხადა, რომ ჩემს კაბინეტში ნამყოფიც არ არის, ის ვერ იქნებოდა ამ სამსახურის სრულფასოვანი უფროსი, დიახ ბუნკერები ჩემი ინიციატივით გაუქმდა და ეს ქალქში ძალიან მტკივნეული პროცესი იყო. დახურვის შემდეგ უფრო მეტი პრობლემები იყო და თბილისელებთან იყო საჭირო კომინიკაცია ეს ხალხი ამას ანხორციელებდა. ის მტკივნეული პროცესი დასრულდა და ფაქტია რაც გავაკეთეთ ისტორიული იყო. ამ ხალხს ამ კომპონენტს არ ეკითხებიან. მხოლოდ ის აინტერესებთ ვის რა პარტიული კუთვნილება ჰქონდა, რითაც პროკურატურა არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ბევრი მათგანი შესაძლოა დღეს „ოცნების“ წევრი აღმოჩნდეს, ეს არის ყველა მმართველი პარტიის ბედისწერა. მე დღეს ბრალი მაქვს წაყენებული იმაზე, რასაც ნარმანია აკეთებს. ის ამ ასაქმებს „ოცნების“ პარტიულ აქტივს... ეს საქმე არის პოლიტიკური ხასიათის და პროკურატურა ვერასდროს ვერ იტყვის, რომ მე რამე გავაკეთე პირადი გამორჩენისთვის. სასაცილოა რომ პროკურატურის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ თბილსერვისში დასაქმებული 500 კაცი ოფისში არ იჯდა. თანამდეროვე სამყაროში ოფისში ჯდომა არ არის საჭირო, საქმის გაკეთება ისეც შეიძლება საბჭოთა კაბელის გადაბრუნების გარეშე, ეს ჩამორჩენილობას ნიშნავს. პროკურატურას საბჭოთა არგუმენტი აქვს. ამ საქმეს საბჭოური სუნი უდის მაგრამ არც მიკვირს რადგან მთავარი მბრალდებელი საბჭოთა კაცია“,-განაცხადა გიგი უგულავამ.

**პირველი რადიო**

# რუსეთში საქართველოს 9 მოქალაქე დააკავეს

რუსეთ-ბელორუსის საზღვარზე რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს 9 მოქალაქე დააკავეს, რომლებიც უკანონო გზით საზღვრის გადაკვეთას ცდილობდნენ. ისინი სატვირთო მანქანის საბარგულში იმყოფებოდნენ. არცერთ დაკავებულს თან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ აღმოაჩნდა. როგორც გაირკვა, სატვირთო მანქანის მძღოლი არალეგალების გადაყვანაში მარტო არ მონაწილეობდა. დაკავებულთა პასპორტები სხვა მსუბუქ მანქანაში მყოფ ადამიანებს აღმოაჩნდათ. დაკავებულები ძირითადად ქალბატონები არიან. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური და მესაზღვრეები არკვევენ, რა მიზნით ცდილობდნენ საქართველოს მოქალაქეები საზღვრის გადაკვეთას. დაკავებულები ამ დრომდე სლოვენსკის წინასწარი დაკავების იზოლატორში რჩებიან.

**პირველი რადიო**

# „გიორგი მარგველაშვილმა გიგა ბოკერიასთან შეხვედრებს მოუხშირა“

დასაწყისი მე-„ გვერდზე

ახლაც ხშირად ხვდება ბოკერიას. მათი შეხვედრები უკვე საეჭვო სახეს ატარებს. ამის მიუხედავად, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ მან სააკაშვილს დააფარა ხელი. მან დოკუმენტები არ გაასაჯაროვა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ძალა ეჩვენებინა.

***– სხვა დროსაც ხომ არ მოინდომებს ძალის დემონსტრირებას?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. წინ ძალიან საინტერესო ამბები გველოდება. ეს ხელისუფლებაც შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ღარიბაშვილის ურჩევნია, მარგველაშვილისთვის ნერვების მოშლას თავი დაანებოს და სერგეენკო გამოაფხიზლოს.

***– სერგეენკოს რა სჭირს გამოსაფხიზლებელი?***

– როგორ რა სჭირს? რეცეპტებით რომ დაიწყეს წამლების გაცემა, თქვენი აზრით, ეს ნორმალურია? ამ ქვეყნის მოსახლეობას ისედაც თავზე საყრელი აქვს პრობლემები.

***– რეცეპტების დანერგვა რამდენიმე მიზეზით ახსნეს. გვეუბნებიან, მთელ ევროპაში ასეაო.***

– ევროპაში ასეა. თუმცა იქ ერთ დღეში არ დაუნერგიათ ეს სისტემა. იქ ყველაფერი მოგვარებულია. გამოდიან და გვეუბნებიან. რეცეპტების სისტემის დანერგვით ბოლო უნდა მოვუღოთ თვითმკურნალობასო. დავიჯერო, არ იციან, რატომ გადავიდა ხალხი თვითმკურნალობაზე? ექიმთან მისასვლელი ფული არ აქვთ. თორემ ექიმთან მისვლა რომ აუცილებელია, ამას სერგეენკოს გამინისტრება არ სჭირდება. ევროპა რომ დაუჩემებიათ, ჯერ ყველაფერი მიიყვანონ ევროპულ დონეზე და მერე გაყიდონ რეცეპტებით მედიკამენტები. რამდენიმე დღის წინ ჩემს ახლობელს 40 თეთრიან წამალში 38 ლარით მეტის გადახდა მოუწია.

***– რანაირად?***

– ის წამალი რეცეპტებით გასაცემი მედიკამენტების სიაში იყო. ურეცეპტოდ არ მისცეს, არადა, წნევის დამწევი წამალია და სჭირდებოდა ადამიანს. ტაქსებით დარბოდა სხვადსხვა პოლიკლინიკაში. მაგრამ მხოლოდ იმ ექიმმა გამოუწერა რეცეპტი, რომელთანაც იყო დარეგისტრირებული. ტაქსებით სირბილში 38 ლარი კი დაეხარჯა. ძალიან მაინტერესებს, რა განმარტებას მომცემს ამაზე ჯანდაცვის მინისტრი.

***– ის ამბობს, რომ ეს პროცესი კარგად და მშვიდად მიმდინარეობს.***

– აბა, იმას ხომ არ იტყვის, წამლების შავი ბაზარი რომ გაჩნდა. ისიც განმარტოს, რატომ გაქრა სააფთიაქო ქსელიდან მთელი რიგი წამლები. ხალხი რეცეპტებითაც კი ვერ ყიდულობს მედიკამენტებს. ასე თუ გაგრძელდა, ესენი რეცეპტების და წამლების რევოლუციას მიიღებენ. სერგეენკოს წყალობით არენაზე გამოვიდნენ სააფთიაქო ექიმები.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ფარმაცევტულმა კომპანიებმა დაიქირავეს ექიმები, რომლებიც რეცეპტს იქვე, სააფთიაქო დახლის გვერდზე წერენ.

***– ხალხს თუ გაუიოლებენ წამლის ყიდვას, რა პრობლემაა?***

– რას გაუიოლებენ? რეცეპტს იმ პირობით წერენ, თუ ამ ფარმაცევტული კამპანიის წამალს იყიდიან. თანაც რეცეპტის გამოწერისას ადამიანის გასინჯვაც კი არ ხდება. ეს უნდოდა ჯანდაცვის სამინისტროს? რომ დაუჩემებიათ ევროპაში ასე ხდებაო, იქ ადამიანები რეცეპტებს რომ იღებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამალს ან ძალიან იაფად, ან უფასოდ აძლევენ. იმედია მთავრობას ეყოფა ჭკუა და დროზე შეცვლის ამ ვითარებას.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება“

შორენა გონგლაძე



2015 წლიდან დამატებით გამოიყოფა რესურსები და მასწავლებლის სახელმწიფო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყება – ამის შესახებ პრემიერ– მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეინში“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენციის გახსნისას სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისივე თქმით, მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი 2016 და 2017 წლებშიც.

– მე დიდი იმედი მაქვს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა ახალ პერსპექტივას შექმნის ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში. ჩვენ მასწავლებლის პროფესია უნდა ვაქციოთ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად, როგორც ეს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ქვეყნებშია. აი, ამ მხარდაჭერით, ასეთი კომპლექსური მიდგომით, თანმიმდევრული ნაბიჯებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ მასწავლებლობა გახდეს მიმზიდველი პროფესია ახალგაზრდებისთვის. მე დიდი იმედი მაქვს, რომ განათლების სფეროსათვის ასეთ მნიშვნელოვან პროცესებში ჩვენი მასწავლებლები აქტიურად ჩაებმებიან.

საქართველოს მთავრობა ძალიან სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს და გეგმავს, მხარი დაუჭიროს რეფორმას. მასწავლებლის მოტივაციის გაზრდა უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ მზად ვართ ამ ინიციატივის ფინანსური ხელშეწყობისთვის. თქვენ იცით, რომ 2012-2013 წლებში გაიზარდა პედაგოგებისა და სკოლის სხვა პერსონალის ხელფასი, გაუმჯობესდა პედაგოგის საშვებულებო პირობები. მინდა გითხრათ, რომ 2015 წელს დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსები და დაიწყება მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება. ნოემბრისთვის გვეცოდინება დამატებითი ინვესტიციების ზუსტი მოცულობა. მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი 2016 და 2017 წლებშიც. მისასალმებელია, რომ მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა, ახალი სქემის მიხედვით, დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მის მიღწევებზე. ეს თითოეულ მასწავლებელს გაუზრდის მოტივაციას.

თქვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ვიცი, რამხელა პასუხისმგებლობით ეკიდებით საკუთარ საქმეს, რისთვისაც თითოეულ თქვენგანს მინდა მადლობა გითხრათ. მინდა ყველას გისურვოთ წარმატებები თქვენს საქმიანობაში. მჯერა, რომ განათლების სისტემის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე თქვენ ძალიან სერიოზულ როლს შეასრულებთ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის განცხადებით, სახელმწიფოს პრიორიტეტია, მოკლე დროში ავამაღლოთ განათლების ხარისხი. მისივე თქმით, მთავრობისთვის განათლება ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია.

– ჩვენ კარგად ვიცით, რომ სწორედ განათლებულ საზოგადოებას შესწევს ძალა, ქვეყანა თანამედროვე, წარმატებულ სახელმწიფოდ აქციოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა განათლების სფეროში. თუმცა ძალიან კარგად მესმის, რომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები ჯერ წინ არის. ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლეთ განათლების სისტემაში არსებული ვითარება და ვიცით, რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ მეტი ძალისხმევით. შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგია და მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს განათლების სფეროში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ჩვენი ქვეყანა განვითარების თვისებრივად ახალ ფაზაში შევიდა. ახალი რეალობა და ჩვენ წინაშე მდგარი სერიოზული გამოწვევები, რა თქმა უნდა, განათლების სისტემასაც ეხება. იმისათვის, რომ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია შევძლოთ, ჩვენ მოკლე დროში უნდა ავამაღლოთ განათლების ხარისხი. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი და თუ ამ საკითხს დროულად არ მოვაგვარებთ, ინტელექტუალური რესურსის გადინების საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება. – განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, 2012 წლიდან მოყოლებული, იზრდება ინვესტიციები განათლებასა და მეცნიერებაში.

– ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ გვქონდა პრობლემები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. დღეს კი ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს – ჩვენ მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად 60 პროცენტით შემცირდა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე. უკვე მეორე წელია, სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებით, რაც დიდი შეღავათია ოჯახებისთვის. ვაშენებთ ახალ სკოლებს 1000-ზე მეტ სკოლაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. სოფლებში ორმოცდაათი ათასზე მეტ სკოლის მოსწავლეს ემსახურება ტრანსპორტი. გარდა ამისა, საჯარო სკოლებში დაინერგა ისეთი სპეციალური სერვისები, როგორიცაა ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლისა და ახლა უკვე ექიმის მომსახურება. ხელმისაწვდომი გახდა ინკლუზიური განათლება. ეს არის იმ პროგრამების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს. რაც შეეხება უმაღლესი განათლების სფეროს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 21 სპეციალობაზე სწავლა გახდა უფასო. ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება კონკრეტული დარგების განვითარება და ვამაყობ, რომ სწორედ ჩვენი მთავრობის ძალისხმევით ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდებს ეძლევათ საუკეთესო საშუალება, უფასოდ მიიღონ განათლება ისეთ სპეციალობებში, რომლებიც მართლაც ძალიან საჭირო და პერსპექტიულია. 2013-2014 წლებში სოლიდური დაფინანსება მიიღეს დოქტორანტმა სტუდენტებმა. ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, სადაც მოხდა რესურსების კონსოლიდაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მისცემოდა საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალება. განათლების ცენტრმა უკვე დააფინანსა 77 სტუდენტის სწავლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე პროფესიული განათლების მხარდაჭერა, რომელიც ასევე სრულად დააფინანსა სახელმწიფომ და ჩვენ ამ სფეროს მომავალშიც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ. – განაცხადა პრემიერმა.

# ვეტერანთა დეპარტამენტს ვეტერანი შიხიაშვილი უხელმძღვანელებს

შორენა გონგლაძე

ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსად თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი დაინიშნა. უკვე დიდი დრო გავიდა, რაც ვეტერანთა დეპარტამენტი მედიის ყურადღების ქვეშ აღარ მოქცეულა ამის



მიზეზი კი ვეტერანთა დეპარტამენტის უფუნქციობამ გამოიწვია, რაც მისი ყოფილი ხელმძღვანელების უდავოდ დიდი დამსახურებაა. უწყება, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, დღემდე „ვენოკების“ აღება-დადებით იყო დაკავებული. ვეტერანთა სამსახურმა ბოლო ორი წლის განმავლობაში სამი ხელმძღვანელი გამოცვალა, რაც ასევე დეპარტამენტში არსებულ კრიზისზე მიანიშნებს.

ის, ვინც ოდნავ მაინც ამ სფეროშია გათვითცნობიერებული, დამეთანხმება, რომ ირაკლი შიხიაშვილს უდავოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. შიხიაშვილს, ფაქტობრივად, ნულიდან მოუწევს დეპარტამენტის ფეხზე დაყენებისათვის ბრძოლა. მიუხედავად ამისა, როგორც გაირკვა, ირაკლი შიხიაშვილს თავად სურდა დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. ამის შესახებ შიხიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

შიხიაშვილის განცხადებით, ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის გადაწყვეტილება თავად პრემიერმა მიიღო. ამისთვის და გამოცხადებული ნდობისთვის ის ირაკლი ღარიბაშვილსა და მის გუნდს მადლობას უხდის. შიხიაშვილის თქმით, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დიდი ხნის განმავლობაში ვეტერანთა პრობლემები თაროზე იყო შემოდებული, ვერ წყდებოდა და არ იყო ჯეროვანი დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ.

– ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, როგორც ვეტერანისთვის, ძალიან დიდი პატივია ის ნდობა, რომელიც პრემიერმა და მისმა გუნდმა გამომიცხადა. მინდა, როგორც ვეტერანებს, ისევე საზოგადოებას განვუცხადო, ძალებს არ დავიშურებ იმისთვის, რომ ვეტერანთა მდგომარეობა, მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება გაუმჯობესდეს. ასევე მეტი ინფორმაცია მიიღოს ხალხმა მათ მიერ ჩადენილი გმირობების, საქმიანობის შესახებ, თუ როგორი გმირები ჰყავს ქვეყანას და რის ფასად იცავდნენ სამშობლოს. ჩემთვის, როგორც სამსახურის დირექტორისთვის და მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ვეტერანების წარსულის ტკივილით ცხოვრება დასრულდეს, დაბრუნდნენ აწმყოში და მომავალს თვალი იმედით გაუსწორონ. – განაცხადა შიხიაშვილმა. მისივე თქმით, თანამდებობაზე რვა სექტემბერს დაინიშნა, მანამდე კი სხვადასხვა საკითხზე მიმდინარეობდა კონსულტაციები, თუმცა, მისი სურვილი იყო, რომ ვეტერანთა დეპარტამენტში წამოსულიყო.

– კარგად ვიცნობ ამ სფეროს. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს ვეტერანი და ძალიან კარგად ვიცი, რა მდგომარეობაში არიან დღეს. მინდა, ეს გამოწვევა მივიღო და მათ წინაშე პირნათელი ვიყო. – განაცხადა შიხიაშვილმა.

კითხვაზე, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მის კანდიდატურას ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მას „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანთან და ვიცე-პრემიერთან კარგი დამოკიდებულება აქვს და მსგავსი ინფორმაციები სიმართლეს არ შეესაბამება.

– ზოგიერთ მავანს აწყობდა დაპირისპირების რეალობად წარმოჩენა, თუმცა, მინდა დავადასტურო, რომ ეს არის ცრუ ინფორმაცია. კახა კალაძესთან, ისევე, როგორც გუნდის დანარჩენ წევრებთან, ნორმალური ურთიერთობა მაქვს. – განაცხადა შიხიაშვილმა.

# თეა წულუკიანი: „ჭიკაიძე ძალიან კარგად მუშაობს“



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანი ალექსანდრე ჭიკაიძის საქმიანობას აფასებს და მიიჩნევს, რომ შეიძლება მისი კოლეგა თავს ვერ იიარებს, მაგრამ დღეს და ღამე მუშაობს იმისთვისა, რომ უდანაშაულო ადამიანი ციხეში არ მოხვდეს

„ჩემი კოლეგა ალექსანდრე ჭიკაიძე როგორც მოქალაქეს მომწონს, შეიძლება ჩვენ მინისტრებს ვილაცას რაღაცა რომ შეგვეშლება, შეიძლება ისევ რაღაც ვერ ვთქვა. რომ მე თავი მოგაწონოთ, აქედან რომ გავალ იყოს ქირქილი და სიცილი ეს დაშვებულია. მეც დამიშვია შეცდომა რომელსაც მე თვითონ შემრცხვენია, მინდა რომ უფრო უკეთესი ვიყო. ადამიანები ვართ ყველა. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია არის ის თუ როგორ მუშაობს ეს მინისტრი.... მე ვფიქრობ რომ ჭიკაიძე არ არის ამ მთავრობის სუსტი წერტილი. ჭიკაიძე შეიძლება თავს ვერ იპიარებს მაგრამ დამერწმუნეთ დღე და ღამე მუშაობს იმისთვის რომ უდანაშუალო ადამიანი არ მოხვდეს ციხეში , ძალიან დიდი ყურადღებას ის აქცევს იმას რომ როდესაც ნებისმიერი შემოწმება ჩატარდება ქუჩაში დანაშუალს ხელს არ მოხვდეს უდანაშაულო ადამიანი“,-განაცხადა თეა წულუკიანმა „მაესტროს ცხრიანში“ სტუმრობისას

**პირველი რადიო**

# „ქართული ოცნება“: „აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება პოლიტსაბჭოსთან შეთანხმებული არ ყოფილა“

აჭარის უმაღლეს საბჭოში, აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის განხილვა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული არ ყოფილა. ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ აჭარის უმაღლეს საბჭოში განვითარებულ მოვლენებს, სადაც ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის განხილვა დაიწყო.

გვინდა, ცალსახად განვაცხადოთ, რომ ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა შეთანხმებული პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელობასთან და პოლიტსაბჭოსთან.

შესაბამისად, პარტიის ლიდერის გადაწყვეტილებით, 14 სექტემბერს 12:00 საათზე, პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თვითნებური ქმედება განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში. აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ აჭარის მთავრობას უნდობლობა გუშინ გამოუცხადა. უმაღლესი საბჭო მთავრობის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

**ნიუსპრესი**

# მაია ფანჯიკიძე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მინისტერიალში მონაწილეობს

ბაქოში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის რიგით მეოთხე შეხვედრა, მიმდინარეობს, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ესწრება. ევროკავშირის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობენ გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგა შმიდი და ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ოტინგერი, ასევე, აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორი ყველა ქვეყნის მაღალი დონის დელეგაციები.„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეოთხე შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიმოიხილეს ინიციატივის განხორციელების კუთხით არსებული პროგრესი და იმსჯელეს 2015 წლის ქ. რიგის სამიტისთვის დასახულ გეგმებზე. შეხვედრისას ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შემდგომი განვითარების მნიშვნელობასა და რეგიონში არსებულ გამოწვევებზე. სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, მან საკუთარ გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლიმენტაციის საკითხებზე და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტისთვის საქართველოს ხლეისუფლების გეგმებზე. აღსანიშნავია, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეოთხე შეხვედრა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ წინ უსწრებს 2015 წლის ქ. რიგაში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტს, რაც მხარეებს სამიტისთვის უფრო ეფექტიანად მომზადების შესაძლებლობას, დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის საშუალებას მისცემს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმარული დიალოგი საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიის გარდა, ასევე მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრას ენერგეტიკის საკითხებზე. შესაბამისად, ღონისძიებაში ქართული მხრიდან მონაწილეობა მიღეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ. ბაქოში ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს აზერბაიჯანის აღმასრულებელი ხლეისუფლების წარმომადგენლებთან.



**პირველი რადიო**

# ყოფილი ჩემპიონი შველას ითხოვს!

## მარტოხელა ვარ, არც მშობლები მყავს, არც ქმარ-შვილი, უპატრონო რომ ვარ, ამიტომ ყურადღება არ უნდა მომაქციონ?

თამარ ნინიძე

ადამიანების გულგრილობას საზღვარი არა აქვს. წლებია, რაც საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი ტყვიის სროლაში, კარატეში შავი ქამრის მფლობელი, უამრავი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის პრიზიორი, ნანული ბიბილაშვილი, სპორტის აკადემიაში წლების წინ მუშაობდა და ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს, ახლა კი აკადემიაც აღარ არსებობს და ქალბატონი ნანული ბიბილაშვილი უმუშევარია, მაგრამ ხელისუფლებისგან ყურადღებას სულ სხვა პრობლემის გამო ითხოვს. ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ეს ქალბატონი ითხოვდა ისეთი აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას, როგორიც სახურავის შეკეთებაა.





არც ნაციონალების დროს შეწუხებულა ვაკის რაიონის გამგეობა ამ ქალბატონის თხოვნის შესრულებისათვის და არც ახლანდელი გამგეობა ცდილობს მის დახმარებას. ქალბატონი ნანული უმწეოა, სახელმწიფოსგან დახმარების სახით სასაცილო თანხას, სამოც ლარს იღებს და ასევე პენსიას, რაც მის გაუსაძლისად გაჭირვებული ყოფისთვის ნამდვილად არ არის საკმარისი. ქალბატონი ე.წ. „ხრუშჩოვკის“ მეხუთე სართულზე ცხოვრობს ვაჟა ფშაველას მეშვიდე კვარტალის მეხუთე კორპუსში. დიდი ხანია, სახურავი შესაკეთებელია. ჯერ ვაკის ყოფილმა გამგებელმა დავით ბურდულმა მისცა დაპირება, რომ სახურავს შეუკეთებდა, ახლა კი ახალი გამგებლის გივი ჭიჭინაძისგან ელის დახმარებას, დავით ბურდულს თავისი მოადგილეებისთვის დაუვალებია ამ ქალბატონის დახმარება, მაგრამ მათგან არც ერთი ადგილზე არ მისულა.

— უმწეო და სოციალურად დაუცველი ვარ, ძველი ტელევიზორი მაქვს, რომელიც არ მუშაობს, მაცივარიც მამაჩემის მიერ არის შეძენილი დიდი ხნის წინ და ახლა გაფუჭებული სახლში უქმად მიდევს. თქვენც ხედავთ, რომ სახლში ფასეული არაფერი მაქვს, უკიდურესად გაჭირვებული ვარ. ამას ისიც ემატება, რომ სახურავიდან წყალი ჩამომდის, ორჯერ მივმართე ვაკის რაიონის გამგებელს, დავით ბურდულს და მან დაავალა თავის მოადგილეებს, სახურავის პრობლემა მოეგვარებინათ. მერე იძულებული ვიყავი, ხელმოტეხილი ქალი მივსულიყავი გამგებელთან და მეთქვა, ბატონო დავით, არავინ მოსულა, გადამარჩინეთ, წყალმა წამიღო, ამ სახლის თავმჯდომარემ ფული შეაგროვა და თავის მხარეს სახურავი კარგად და საფუძვლიანად შეაკეთა, მაგრამ ჩემი ბინის თავზე სახურავის შესაკეთებლად არავინ მოსულა. ეს გახლავთ პაატა ტაბატაძე, ამ კორპუსის თავმჯდომარე.

— ეს პიროვნება უშლის ხელს ამ სახლში თქვენს თავზე სახურავის შეკეთებას?

— დიახ, ოღონდ მიზეზი არ ვიცი, რატომ ხდება ასე. ეჭვი მაქვს, რომ გამგეობაში ვიღაცა ჰყავს ნათესავი და ამიტომ ჩემამდე არავინ მოდის.

— თქვენ რომ წყალი ჩამოგდით სახურავიდან, ეს თქვენ ქვემოთ მცხოვრებ მეზობლებს პრობლემას არ უქმნის?

— რა თქმა უნდა, უქმნის. როცა მხვდებიან, ნაწყენები არიან და არც მესალმებიან, მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, მე კი არ ვუშვებ წყალს, სახურავია დაზიანებული და რემონტი სჭირდება. თქვენც ხედავთ, რომ ტაშტები და ვედროები მიდგას და ამით ვცდილობ, დიდ ნაკადად წამოსული წყალი შევაკავო. პირველყოფილი ადამიანები არ ცხოვრობენ ისე, როგორც მე ვცხოვრობ, ისედაც ძალიან მიჭირს, პურის ფული არ მაქვს და ახლა ეს ამხელა პრობლემაც მაქვს. მარტოხელა ვარ, არც მშობლები მყავს, არც ქმარ-შვილი, უპატრონო რომ ვარ, ამიტომ ყურადღება არ უნდა მომაქციონ? დედა ლექტორი მყავდა, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, მამა ორი რაიონის მილიციის უფროსი იყო. ცოცხლები აღარ არიან და სულ მარტო ვარ. ახლა გივი ჭიჭინაძეა ჩვენი რაიონის გამგებელი. ჯერ მისთვის არ მიმიმართავს, იმედი არ მაქვს, რომ დამეხმარებიან, მე მაინც მივალ და ჩემს მდგომარეობას აუცილებლად გავაგებინებ, ახლა ბატონ დავით ნარმანიასთან უნდა შევიდე და დავუდო ეს მასალები, ნახოს, რა დღეში ვარ. პაატა ტაბატაძემ ფული მოაგროვა, თავის მხარეს შეაკეთა სახურავი. აქეთ არაფერი გაკეთებულა, დანარჩენი თანხა, ალბათ, ჯიბეში ჩაიდო. წვიმა რომ მოდის, ვიცი, რომ მთელი ფართობი ბინაში, შუშაბანდი და მოშენება წყლით აივსება, მეშინია, მეზობლები არ ჩარეცხოს. ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორი ცხოვრობს ჩვენს სადარბაზოში დაბლა, ვუთხარი ამის შესახებ, ხმას მოგცემ, თუ დამეხმარები და ამ პრობლემას მომიგვარებ-მეთქი. დამდევდა, ხელი მოაწერე, რომ ხმას ნაციონალებს აძლევო. მე ვუთხარი, წყალი რომ ჩამოდის, გამიკეთონ და ხმას თქვენ მოგცემთ-მეთქი, მაგრამ არავინ მომაქცია ყურადღება.

„ახალი თაობა“ ქალბატონი ნანულის მეზობელსაც ესაუბრა, რომელიც მეოთხე სართულზე ცხოვრობს, წყალი მასთანაც ჩამოდის და შუშაბანდსა და ოთახებში ჭერზე ბათქაში ჩამონგრეულია. ქალბატონ ნანულისთან მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. როგორც ის ამბობს, დაძინების ეშინია, რომ ჭერი თავზე არ ჩამოექცეს.

როგორც ქალბატონი ჟუჟუნა დარბაიძე ამბობს, მიმართა ახალ გამგებელს და განცხადებაც დაწერა. არც ადრე, წინა ხელისუფლების დროს და არც ახლა არავის მიუქცევია მათთვის ყურადღება. ოცდაათი ლარი სახურავის შესაკეთებლად უკვე გადასცა სახლის თავმჯდომარე პაატა ტაბატაძეს, მერე დამატებით კიდევ მისცა ოცდახუთი ლარი. სანაცვლოდ არაფერი გაკეთებულა.



— მე რომ ტაშტებს არ ვდგამდე, ქვემოთ მესამე სართულზე მეზობელს სულ ჩარეცხილი ექნებოდა სახლი. როცა წვიმს, საშინელება ხდება. სირცხვილია, ოცდამეერთე საუკუნეში ამაზე რომ გვიწევს საუბარი, მაგრამ ფაქტია და დახმარებას მოვითხოვთ. აქამდე მორიდებით ვითხოვდით, ახლა კი კატეგორიულად მოვითხოვთ, მოვიდნენ და სახურავი შეაკეთონ! — ამბობს ჟუჟუნა დარბაიძე.

იმის ნაცვლად, რომ პაატა ტაბატაძეს ბოდიში მოეხადა მეზობლებისთვის შეუკეთებლად დარჩენილი სახურავის გამო, როგორც ქალბატონი ნანული ამბობს, მას დედამისთან მოუვიდა კონფლიქტი, ხელი ჰკრეს და კიბეზე დააგორეს.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხალხზე მზრუნველი „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და დედაქალაქის ახლად არჩეული მერი.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## გარკვეული მედიკამენტები ურეცეპტოდ გასაცემი წამლების სიაში გადავა

გუშინ ჯანდაცვის სამინსიტროში მინისტრი დავით სერგეენკო ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლლებს შეხვდა. ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები გარკვეული მედიკამენტების მესამე –ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ჯგუფში გადატანას ითხოვდნენ, რაზეც მინისტრისგან თანხმობა მიიღეს.

„პსპ“-ს წარმომადგენელმა ვაჟა ოქრიაშვილმა ჟურნალისტებს მედიკამენტების რაოდენობა არ დაუკონკრეტა, თუმცა აღნიშნა, რომ შეიძლება შემუშავდეს ქრონიკულად მისაღები მედიკამენტების ნუსხა. „ჯერჯერობით პრობლემებთან დაკავშირებით იყო ერთი საკითხი, რომ მოსახლეობის სენსიტიურად აღქმული მედიკამენტები გადავიდეს მესამე ჯგუფში, რომელზეც მივიღეთ თანხმობა“, – განაცხადა ვაჟა ოქრიაშვილმა. ურეცეპტოდ გასაცემი წამლების ჯგუფში გადასატან მედიკამენტების სიას ფარმაცევტული კომპანიები ჯანდაცვის სამინისტროს დღეს მიაწვდიან.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომა ჟურნალისტებს ფარმაცევტულ კომპანიებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, სიას სამინისტროში დღესვე განიხილავენ. მისივე თქმით, შეხვედრაზე ისაუბრეს ექიმების მიერ არასრულყოფილი რეცეპტების გამოწერის საკითხზე. ასევე ფარმაცევტულმა კომპანიებმა მოითხოვეს მკაცრი კონტროლის განხრციელება იმ აფთიაქებზე, რომლებიც დარღვევით ახორციელებენ ამ რეგულაციას.

„რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მოვალეობაა და ასეც მოვიქცევით“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

**მედიანიუსი**

## „ცოცხალი მკვდრის“ საქმის დაწინაურებული პროკურორები

ქალაქ თელავის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსად დაინიშნა კახეთის საოლქო პროკურატურის ყოფილი პროკურორი ზურაბ ჯავახიშვილი. პროკურორად მუშაობის დროს, მისი მოთხოვნით, მოქალაქე ალექსი ბახუტოვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმ ადამიანის განზრახ მკვლელობისთვის, რომელიც ცოცხალი იყო. თელავის მერიაში ზურაბ ჯავახიშვილის ყოველთვიური ხელფასი 1490 ლარს შეადგენს.

საქმე ეხება ალექსი ბახუტოვის სისხლის სამართლის საქმეს. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, იმ დროისთვის კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა ბრალი წაუყენა ალექსი ბახუტოვს ლაშა ჩოფიკაშვილის განზრახ მკვლელობაში. გამოძიებამ ბახუტოვის აღიარებითი ჩვენება მისი წამების შედეგად მოიპოვა. ბახუტოვს თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილმა 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამავე საქმეზე, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, პროკურატურამ კიდევ 3 პირი დააპატიმრა. ცემისა და წამების შედეგად ისინიც აიძულეს ეთქვათ, რომ ალექსი ბახუტოვმა მოკლა ლაშა ჩოფიკაშვილი და გვამი გადამალა. სამივე დაკავებულთან პროკურორმა ჯავახიშვილმა საპროცესო შეთანხმება გააფორმა, მოსამართლე მარიკა ცერცვაძემ კი დაამტკიცა. მათ ბიუჯეტში ფული გადაახდევინეს და პირობითი სასჯელი შეუფარდეს. პროკურორებმა და მოსამართლეებმა გადაწყვეტილებები ისე მიიღეს, რომ გვამი ნაპოვნი არ იყო.

„გარდაცვლილი“ ლაშა ჩოფიკაშვილი, რომელსაც ოჯახმა ორმოციც კი გადაუხადა, 2007 წლის 20 სექტემბერს სოფელში ცოცხალი გამოჩნდა.

ამის მიუხედავად, ალექსი ბახუტოვი მაინც არ გაათავისუფლეს. პროკურორ ზურაბ ჯავახიშვილის მოთხოვნით, საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობით გადაკვალიფიცირდა და ბახუტოვი ერთი წლით ციხეში დატოვეს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პროკურორი ჯავახიშვილი დააწინაურეს და თელავის პროკურორის მოადგილედ დანიშნეს. აღნიშნულ საკითხზე კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ალექსი ბახუტოვის საქმის შესწავლა დაიწყო.

2013 წლის მარტში, თელავის რაიონული პროკურორის მოადგილე ზურაბ ჯავახიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის განცხადებით, ჯავახიშვილს ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ სამსახურებრივი გულგრილობა.

„პროკურორ ზურაბ ჯავახიშვილის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების დაუდევარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია რამდენიმე პირის უკანონო მსჯავრდება არჩადენილი დანაშაულისათვის, რითაც არსებითად დარღვეული იქნა მათი კანონიერი უფლებები. ასევე არსებითად იქნა დარღვეული სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები და შელახული იქნა პროკურატურის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოს პრესტიჟი“, – განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

პროკურატურამ ზურაბ ჯავახიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ მოითხოვა. „ზურაბ ჯავახიშვილს მსხვერპლად განვიხილავთ. იმის საჭიროება რომ დაგვენახა, რომ ის ყოფილიყო გისოსებს მიღმა, ამას გავაკეთებდით, მაგრამ წინასწარ დაპატიმრების ან გირაოს შეფარდების საჭიროება ვერ დავინახეთ,“ – განაცხადა იმჟამინდელმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა.

„ის ჩვენებაში უთითებს ვისგან იღებდა დავალებებს. ის ადამიანები, ვინც მას დავალებებს აძლევდა აღარ მუშობენ სისტემაში. ვისაც ის ასახელებს როგორც დავალების მიმცემს, ან შეთანხმების განმახორციელებელს მასთან, არცერთი არ მუშაობს პროკურატურაში. ჩვენ გვაქვს საქმის მასალებიდან გამომდინარე ლოგიკური ძაფი, რომ ის გარკვეულ მითითებას იღებდა მისი ხელმძღვანელიდან, იქ კიდევ სხვისგან და გვინდა გავყვეთ. ჩვენ არ გვინდა ეს ადამიანი, რომელიც გარკვეული აზრით ასევე მსხვერპლია იმ სისტემის, გარკვეული აზრით იყოს ბოლომდე ან მთლიანად განტევების ვაცი. ჩვენი ძირითადი მიზანი იყო მხილება და პასუხისგებაში მიცემა,“ – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, საბოლოოდ ზურაბ ჯავახიშვილს პროკურატურამ განრიდება გაუკეთა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსი ბახუტოვის წინააღმდეგ, ჩოფიკაშვილის მკვლელობის ფაქტზე, გამოძიება შს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში 2007 წლის 27 ივნისს დაიწყო. ალექსი ბახუტოვს თელავის რაიონულმა სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა 2007 წლის 24 აგვისტოს მიუსაჯა.

ამ პერიოდში კახეთის საოლქო პროკურორი, ანუ ზურაბ ჯავახიშვილის ხელმძღვანელი თამაზ ცაბუტაშვილი იყო. იგი 2011 წლის 4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 4 ივლისის №351-ე ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა. საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, თამაზ ცაბუტაშვილი კახეთის საოლქო პროკურორად 2004-2011 წლებში მუშაობდა.

ამავე პერიოდში კახეთის საოლქო პროკურორის მოადგილე იყო ვაჟა მაღრაძე. ამ თანამდებობაზე ის 2005 წლიდან მუშაობს და ყოფილი მთავარი პროკურორის განცხადების მიუხედავად, დღემდე ამ თანამდებობაზეა.

მოსამართლეებად მუშაობას აგრძელებენ ნათელა ჯაშიაშვილიც და მარიკა ცერცვაძეც. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, ნათელა ჯაშიაშვილი 2010 წლიდან არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. მარიკა ცერცვაძე კი 2001-2009 წლებში იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2002-2009 წლებში იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2006-2007 წლებში არჩეული იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. 2009 წლის ოქტომბრიდან არის სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 წლის 19 ნოემბრამდე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2012 წლის 19 ნოემბრიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდ თელავის რაიონულ სასამართლოში. 2012 წლის 20 ნოემბერს დაინიშნა თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „გარდაცვალება არა ციხეში ცემამ, არამედ ექიმების დაუდევრობამ გამოიწვია“

## ახალი დეტალები კორტავას საქმეში

ლევან კორტავას გარდაცვალება შესაძლოა არა ციხეში ცემამ არამედ ექიმების დაუდევრობამ გამოიწვია. ამის შესახებ განცხადება ექსპერტმა მაია ნიკოლაიშვილმა გააკეთა. როგორც მან გარდაცვლილი ლევან კორტავას ოჯახის ადვოკატთან, დალი სალუქვაძესთან ერთად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დოკუმენტებით ირკვევა, რომ ლევან კორტავას გარდაცვალების მიზეზი არ შეიძლება გამხდარიყო ის ტრავმები, რომელიც გარდაცვლილს 2013 წლის 12 მაისს გეგუთის №14-ე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი ინცინდეტის დროს ცემისას მიაყენეს, არამედ სავარაუდოდ, ცხაკაიას სახელობის ინტერვენციის ცენტრში ექიმების დაუდევრობის შედეგია.

„დოკუმენტებით იკვეთება, რომ ლევან კორტავას სიკვდილის მიზეზი მართლაც რომ ყოფილიყო ტვინის ღეროს შეშუპება, რომელზეც ექსპერტები საუბრობენ, ტრავმული არ იყო. ქალა-ტვინის ტრავმა, რომელიც გარდაცვლილს აღენიშნებოდა, მისი სიკვდილის მიზეზი არ შეიძლება გამხდარიყო. მიკროსკოპულადაც დადასტურებულია, რომ იქ იყო ფილტვების ანთება. ეს დაადასტურა სამედიცინო ექსპერტიზამ და ქიმიური ექსპერტიზით ასევე დადგინდა, რომ ანტიბიოტიკზე კორტავას უარყოფითი მგრძნობელობა ჰქონდა. არც ტოქსიკოლოგი, არც ნარკოლოგი და არც ნევროპათოლოგი მის მკურნალობაში არ ჩარეულა“, – განაცხადა მაია ნიკოლაიშვილმა.

მაია ნიკოლაიშვილი ჯანდაცვის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, რადგან ფიქრობს, რომ ექსპერტები, რომლებიც ერთვებიან სამედიცინო ექსპერტიზაში სამედიცინო დაწესებულების ექიმების მიერ დაშვებულ შეცდომებს ხელს აფარებენ.

პრესკონფერენციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ გასარკვევია რა იყო რეალურად კორტავას სიკვდილის მიზეზი, რომელშიც 7 პირია დღეს ბრალდებული.

**ნიუსპრესი**

# საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ჩინეთში ვიზიტით იმყოფებოდა

საქართველოს დელეგაცია, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ზვიად ძიძიგურის ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით ჩინეთში იმყოფებოდა. ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო რიგით მეოთხე „ჩინეთ-ევრაზიის ექსპო 2014“-ში, რომლის მთავარი თემა აბრეშუმის გზისა და ახალი ეკონომიკური სარტყელის მშენებლობა იყო, – აცნობეს „მედიანიუსს“ საგარეო უწყებიდან.

ექსპოს გახსნაზე ზვიად ძიძიგური, ყირგიზეთისა და ყაზახეთის პრემიერ მინისტრებთან ერთად სიტყვით გამოვიდა. მან ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელობას რეგიონალური თვალსაზრისით და ისაუბრა ახალი აბრეშუმის გზის მშენებლობაში საქართველოს ჩართულობის აუცილებლობაზე.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ჩინურ მხარესთან. მათგან აღსანიშნავია საქართველოს დელეგაციის შეხვედრა ჩინეთის ვიცე პრემიერ მინისტრთან, ვანგ იანგთან. ვიცე პრემიერმა ხაზი გაუსვა საქართველოში არსებულ სტაბილურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ისაუბრა ორი ქვეყნის თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე.

ზვიად ძიძიგურმა საქართველოს ხელისუფლების სახელით ორმხრივი თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა და დაადასტურა საქართველოს სურვილი და მზაობა აბრეშუმის გზის მშნებლობაში მონაწილეობის შესახებ.

მაღალი დონის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია შეხვედრა სინძიანის ავტონომიური რეგიონის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან, სინძიანის მთავრობის თავმჯდომარესთან და ურუმჩის მერთან.

ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა შეხვედრა შედგა რამდენიმე მსხვილ კომპანიასთანაც. მათ შორის ჰუალინგ ჯგუფთან და TBEA-სთან, რომლებთანაც განხილულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი დღის წესრიგი, მათ შორის ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელების საკითხები.

**მედიანიუსი**

# შოტლანდიელებს დამოუკიდებლობა სურთ



– შოტლანდიელთა უმრავლესობას დამოუკიდებლობა სურს. – იტყობინება „სანდი ტაიმსი.“ თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიურ გამოკითხვებისა, დამოუკიდებლობას მხარს მოსახლეობის 51 პროცენტი უჭერს.

– ეს მყიფე, მაგრამ მაინც უმრავლესობაა, – აცხადებს შოტლანდიის პრემიერი სტენჯერსი.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ წელს შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვმა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრეთა რაოდენობას პირველად გადააჭარბა. თუკი აქამდე მიიჩნევდნენ, რომ შოტლანდიელებს მხოლოდ თავიანთი ავტონომიის გაფართოება სურთ, ახლა უკვე აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვი ნელ-ნელა მატულობს.

– შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეთა შორის ისეთი ცნობილი ვარსკვლავებიც გვხვდებიან, როგორიც შონ კონერია – იტყობინება ბი-ბი-სი.

ლონდონი თავის მხრივ ცდილობს შოტლანდია დიდი ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობში დატოვოს. პრემიერმა ქემერონმა შოტლანდიას ფართო ავტონომია შესთავაზა, დედოფალმა შოტლანდიელებს საგანგებოდ მიმართა და დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა სთხოვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მსოფლიო წესრიგი დარღვეულია

**მარიკა მჭედლიშვილი**



**თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ სიტუაციას ზოგი მესამე მსოფლიო ომს უწოდებს, ზოგი — ომის წინა პერიოდს, ზოგი კი, უბრალოდ, გავლენებისათვის ბრძოლას აშშ-სა და რუსეთს შორის.**

**ამერიკული გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“ წერს, რომ ჩვენ ვადევნებთ თვალს მსოფლიოს წესრიგის გარეშე. ამასთან დაკავშირებით გაზეთს მოჰყავს აშშ-ს ყოფილი მდივნის (ორი პრეზიდენტის მმართველობის დროს) ჰენრი კისინჯერის მოსაზრებები.**

ჰენრი კისინჯერი აშშ-ს ლიდერობისაკენ მოუწოდებს ამ არეულ პერიოდში, როცა ახლო აღმოსავლეთი, ლაზას სექტორიდან სირიამდე, ცეცხლშია გახვეული, რუსეთი კი, პუტინის ხელმძღვანელობით, რევანშისტული ხდება. რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, ახლა კი ფარულად იჭრება უკრაინის აღმოსავლეთში. ძალაუფლებისა და გავლენისკენ წყნარი ოკეანის რეგიონში მიიწევს ჩინეთი.

ცნობილი მოღვაწის აზრით, ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა იკისრა ჰეგემონის როლი. დროის ერთპოლარული მონაკვეთი წარუმატებელ დასასრულს უახლოვდება. ჯორჯ ბუშიუმცროსის დროს, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, აშშ-მ დაუძლეველი ამოცანა დაისახა. ხოლო მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს მოხდა საგარეო პოლიტიკის მილიტარიზაცია. მისი შედეგი, საუკეთესო შემთხვევაში, გახდა, ჩიხური სიტუაცია ავღანეთში და რთული ვითარება ერაყში. შედეგი – დასავლური ალიანსის გახლეჩა, გულაცრუებული ამერიკული საზოგადოება და თეოკრატიული ირანის გაძლიერება.

ბარაქ ობამას დროს აქცენტი კეთდება ამერიკელი ჯარისკაცების შინ დაბრუნებაზე ჯერ ერაყიდან, შემდეგ – ავღანეთიდან. თუმცა, ახლა აშშ კვლავ მზადაა ახლო აღმოსავლეთში აქტიური ქმედებებისათვის, ასევე ძალისხმევისთვის პუტინის შესაკავებლად.

კისინჯერი მიიჩნევს, რომ „არაბული გამოღვიძების“ შემდეგ განხორციელებულ პოლიტიკას ძნელია ეწოდოს თანამიმდევრული. პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი დაამხეს ეგვიპტური დემოკრატიის სახელით, მაგრამ ვაშინგტონმა თვალი დახუჭა სამხედრო გადატრიალებაზე, რომლის შედეგად, ორი წლის შემდეგ ხელისუფლებას ჩამოაშორეს არაკომპეტენტური და მოუთმენელი „ძმები-მუსლიმანები“. ლიბიაში დაამხეს პოლკოვნიკი კადაფი. ეს, ძირითადად, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზეწოლით მოხდა. ამჟამად ლიბია იშლება ბანდიტური დაჯგუფებებისა და ტომობრივი მტრობის შედეგად. სირიასთან დაკავშირებით ობამამ განაცხადა, რომ გაავლებს წითელ ხაზს ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა, მერე გაუბედაობა გამოიჩინა, როცა დადგინდა, რომ ბაშარ ალ-ასადი მასობრივი განადგურების იარაღს იყენებდა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

კისინჯერის აზრით, ამ რთულ დროს აუცილებელია ბალანსი ფასეულობებზე დამყარებულ საგარეო პოლიტიკასა და რეალ-პოლიტიკას შორის.

მსოფლიოში წესრიგი დიდადაა დამოკიდებული უკრაინის მოვლენებზე. გერმანული გაზეთი „დი ველტ“ აქვეყნებს უკრაინაში სიტუაციის განვითარების სამ ვარიანტს.

პირველი სცენარი პუტინის სასარგებლოდ მთავრდება.

პოროშენკო თანხმდება მშვიდობიან გეგმას, რომელიც უკრაინის ფედერალიზაციას ითვალისწინებს. უკრაინის სამხრეთი და აღმოსავლეთი ფორმალურად რჩება უკრაინის სახელმწიფოში, მაგრამ, იქნებიან მოსკოვის კონტროლის ქვეშ. სამრეწველო ცენტრების გარეშე დარჩენილ დასავლეთ უკრაინას კრიზისი ელის. იქ არეულობებიც მოხდება. საბოლოოდ, ხელისუფლებაში მოვა პრორუსული ძალა, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასაც მხარს დაუჭერს და ევრაზიულ კავშირშიც შეიყვანს უკრაინას. 2017 წლისთვის საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი მარინ ლე პენი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს გააუქმებს და გააფორმებს რუსეთთან ხელშეკრულებას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. იმ დროს ბალკანეთშიც აირევა ვითარება. იქაური რუსულენოვანი მოსახლეობის „აქტიურობის“ საფუძველზე შეიქმნება ავტონომიური ოლქები.

მეორე სცენარით, ბრძოლები გაგრძელდება.

არ შედგება მშვიდობიანი მოლაპარაკებები პრორუსულად განწყობილ სეპარატისტებთან. რუსეთიდან მხარდაჭერილი „ბოევიკები“ შეინარჩუნებენ პოზიციებს. ამასთან, ისინი ველარ შეავიწროებენ უკრაინის არმიას ნატო-დან მიღებული იარაღისა და სხვა დახმარების წყალობით. კიევში ხელისუფლებისთვის იბრძოლებენ რადიკალი ნაციონალისტები და კომპრომისებისთვის მზად მყოფი ზომიერი ძალები. ეს არასტაბილურობას გამოიწვევს. ამ მიზეზით ევროკავშირი მუდმივად გადადებს მოლაპარაკებებს უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. პუტინი ისარგებლებს ამით და დესტაბილიზაციას გამოიწვევს დასავლეთ უკრაინაში. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს და ხან უფრო გაამწვავებს ვითარებას, ხან – დაამშვიდებს, რათა დასავლეთს რუსეთის საწინააღმდეგო სანქციები შეასუსტებინოს.

მესამე სცენარით, პუტინი დათმობაზე წავა.

სანქციების გამო რუსეთის ეკონომიკას დიდი ზარალი მიადგება. საქმე იქამდე მივა, რომ საქმიანი წრეები პუტინთან კონფრონტაციას გაბედავენ. გარდა ამისა, რუსეთს ცუდად შემოუტრიალდება ჩინეთთან ერთად შექმნილი ვითომ დასავლური ალიანსი. ჩინეთთან მჭიდრო თანამშრომლობა, შეიძლება, ხაფანგი აღმოჩნდეს რუსეთისათვის: ის აღმოჩნდება დამოკიდებული მზარდ ეკონომიკურ გიგანტზე. რუსეთი დადგება იმ რისკის წინაშე, რომ ჩინეთის სატელიტ სახელმწიფოდ იქცეს. რუსეთის მოსახლეობა უკმაყოფილო იქნება უკრაინაში რუსი ჯარისკაცების დაღუპვის მზარდი რაოდენობით. მოსალოდნელია მღელვარება. პუტინის პროპაგანდა გამოაცხადებს, დასავლეთს ჭკუა ასწავლა. პუტინი განაიარაღებს სეპარატისტებს, დათანხმდება საკონსტიტუციო რეფორმას. ამ რეფორმის შედეგად მოხდება უკრაინის დეცენტრალიზაცია. რუსული გახდება მეორე ოფიციალური ენა უკრაინის ზოგიერთ რეგიონში. კრემლი შეეგუება უკრაინის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში იმ პირობით, რომ მის ტერიტორიაზე არ განთავსდება ალიანსის ძალები და რაკეტები. რუსეთსა და უკრაინას შორის ხელი მოეწერება მეგობრობის ხელშეკრულებას. ეს დოკუმენტი დაარეგულირებს მჭიდრო ეკონომიკურ კონტაქტებს და მოაწესრიგებს მოსკოვსა და კიევს შორის პოლიტიკურ კონსულტაციებს.

ასეთ სცენარებს გვთავაზობს „დი ველტი“. ჯერჯერობით, დასავლეთი რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებას აპირებს. კონტრსანქციებს რუსეთიც გეგმავს. ანალიტიკოსები ფართო ფრონტზე ბრძოლების გაშლასაც არ გამორიცხავენ. შესაძლოა, „საქმეების გარჩევა“ კავკასიის ცხელ რეგიონშიც მოხდეს. ყველა თანხმდება, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ასეთი დაძაბულობა კარიბის კრიზისის მერე არ ყოფილა.

აქამდე დაწესებულ ურთიერთსანქციებს უკვე მოაქვს ზარალი. ევროპის რეკონსტრუქციისა და თანამშრომლობის ბანკის გათვლებით, რუსეთის მიერ იმპორტირებულ სურსათზე გამოცხადებული ემბარგო, ყველაზე მეტად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ნორვეგიას, პოლონეთსა და უნგრეთს დააზარალებს. ეს ქვეყნები ყველაზე მოწყვლადია რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო. ამ სახელმწიფოების პროდუქციის ექსპორტი მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან წილს შეადგენს. ბალტიის ქვეყნებსა და ნორვეგიას რუსეთში, უმეტესად, თევზი გაჰქონდათ, პოლონეთსა და უნგრეთს – ხილ-ბოსტნეული.

ევრობანკის ინფორმაციით, ზარალი რუსეთსაც მიადგება. რაც ფასების ზრდაში გამოიხატება.

ჯერჯერობით, სანქციები სხვადასხვა ქვეყნის უბრალო მოქალაქეებს ურტყამს. თორემ, თანამდებობის პირები, რომელთაც გადაადგილება შეეზღუდათ, დისკომფორტს არ გრძნობენ. რუსეთის დუმის სპიკერი სერგეი ნარიშკინი, აკრძალვის მიუხედავად, ორჯერ იმყოფებოდა პარიზში.

# ირაკლი აბესაძე: „ნარმანია თავისი გუნდის წარუმატებელი საქმიანობის გადაფარვას ცდილობს“

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“ წევრ ირაკლი აბესაძის განცხადებით, თბილისის მერი დავით ნარმანია დედაქალაქის მართვაში მისი გუნდის წარუმატებელი სტარტის გადაფარვას ცდილობს.

ირაკლი აბესაძემ აღნიშნული განცხადება გუშინ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

„დავით ნარმანია ცდილობს, მისი გუნდის წარუმატებელი სტარტი დედაქალაქის მართვაში გადაფაროს. დანაშაულებრივი იძულებით სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლები, პარტიულ-ნათესაური ნიშნით ახალი თანამშრომლების შერჩევა, მშენებლობების შეჩერება – ეს თბილისის მთავრობის პირველი ნაბიჯების მცირე ჩამონათვალია, იმის ნაცვლად, რომ ახალი პროექტების განხორციელების დაწყებისა და ქალაქის განვითარებაზე იზრუნონ“, – განაცხადა აბესაძემ.

როგორც აბესაძე აღნიშნავს, ნარმანია საზოგადოებას ილუზიას უქმნის, თითქოს მისი გუნდი რაღაცის გამოსწორებას ცდილობს და ამაშიც უხეშ შეცდომებს უშვებს.

მისივე განცხადებით, ბიუჯეტისთვის დაკლებულ თანხებზე დედაქალაქის მერის დასკვნა მცდარია, ხოლო მცდელობა – „იზრუნოს“ ბიუჯეტის შევსებაზე, ფუჭია.

ფრაქციის წევრი დედაქალაქში პარკირების საკითხს შეეხო და განაცხადა, რომ მერს კომპანია „სიტი პარკის“ შესახებ მისი მთავრობის წევრები არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

„ნარმანია აცხადებს, რომ ტენდერში „სითი პარკმა“ კონკურენტს 1 ლარით მოუგო და შემდეგ ამავე კონკურენტთან მისი შერწყმა მოხდა. სინამდვილეში, ჩატარებულ აუქციონში ვაჭრობა მიმდინარეობდა არა ზუსტი თანხის დასახელებით, არამედ სამომავლოდ მიღებული შემოსავლიდან ბიუჯეტში ვინ უფრო მაღალ პროცენტს გადაიხდიდა. შესაბამისად, ტყუილია და თეორიულადაც შეუძლებელი – რომელიმე კომპანიას ეს აუქციონი ერთი ლარით მოეგო. ასევე, არ მომხდარა აუქციონში მონაწილე კონკურენტი სხვადასხვა კომპანიების გაერთიანება“, – აღნიშნავს აბესაძე.

ამასთანავე, „ნაცმოძრაობის“ წევრი განმარტავს, რომ ნარმანია და მისი სამთავრობო გუნდი ვერ ახერხებს, მარტივ ფაქტობრივ გარემოებებში გაერკვნენ და მათი ნაბიჯები ჯერჯერობით აბსოლუტურად წარუმატებელია.

ფრაქციის წევრი თბილისის მერს მოუწოდებს, წარსულთან ბრძოლას თავი დაანებოს და მისი დაპირებები შეასრულოს.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# გია ხუხაშვილი: „მარგველაშვილს იმპიჩმენტს ვერ მოუწყობენ“

ნონა ცაბაძე



## ინტერვიუ ექსპერტ გია ხუხაშვილთან

***– ბატონო გია, გავრცელებული ინფორმაციით, მარგველაშვილი ამ ბოლო პერიოდში ძალიან დიდ გულზეა, მას ზურგს სერიოზული ძალა უმაგრებს და აგულიანებს მთავრობის წინააღმდეგ.***

– ეს არის აბსურდი. რას ჰქვია, დიდ გულზეა? მარგველაშვილი ცდილობს, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება. მე ვფიქრობ და უელსის ვიზიტმაც აჩვენა, რომ აბსოლუტურად თანხვედრაშია ხედვები მთავრობისა და პრეზიდენტის, ხომ? ანუ ისინი ერთობლივად იყვნენ ამ ვიზიტზე, ერთობლივად ძალიან კარგი და დიდი საქმე გაკეთდა და ეს იყო თანამშრომლობის ნიმუში. პრინციპულ სახელმწიფოებრივ თემებში მე განსხვავებას ვერ ვხედავ პრეზიდენტის პოზიციებსა და მთავრობის პოზიციებს შორის. განსხვავება იწყება რაღაც აბსოლუტურ აბსურდზე. „პაეზდკების“ დონეზე რომ დაიყვან ამას, რომ მე წავალ „პაეზდკაში“ და შენ არ უნდა წახვიდე, იმიტომ რომ მე ასე გადავწყვიტე, ეს აბსოლუტურად არასახელმწიფოებრივია. როგორ შეიძლება ასე აზროვნება?!

***– რაც შეეხება მოარულ ხმებს იმის თაობაზე, რომ მარგველაშვილი მალე ახალ პოლიტიკურ გუნდს შექმნის, ამის თაობაზე თუ გსმენიათ რამე?***

– ეს არის სრული აბსურდი, იმიტომ რომ, მე რამდენადაც ვიცნობ, მარგველაშვილი არ არის კლასიკური ტიპის პოლიტიკოსი. ჩემს მეგობრად ვთვლი მას და მიმაჩნია, რომ ის არ აპირებს გრძელვადიან პოლიტიკურ თამაშში შესვლასა და აქტიურ პოლიტიკაში ყოფნას. ეს გამორიცხულია! მარგველაშვილის ერთადერთი ამოცანა, მე როგორც ვატყობ, არის ის, რომ თავისი პრეზიდენტობა გამოიყენოს იმაში, რომ ქვეყანა ნელ-ნელა გადავიდეს ინსტიტუციურ მართვაზე და ის გახდეს გარანტი იმისა, რომ ნელ-ნელა ხელისუფლების შტოებმა შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და, რაც მთავარია, დამკვიდრდეს კანონისა და არა პიროვნების უზენაესობა. პიროვნებები როდესაც იწყებენ ქვეყნის მართვას თავიანთი სუბიექტური შეხედულებებით, ისე, რომ არ დაგიდევენ კანონს, ეს არის ძალიან სახიფათო გზა და ამ ციკლში ტრიალებს ორ ათეულ წელზე მეტია ეს ქვეყანა. უნდა გადავიდეთ ინსტიტუციურ მართვაზე. მე ასე მიმაჩნია, რომ ის თავის ფუნქციას ამაში ხედავს და არანაირ გრძელვადიან პოლიტიკურ თამაშში შესვლას არ აპირებს. არც იყო მისი არჩევანი, ეს იყო გუნდის არჩევანი, რომ მას ეს ფუნქცია თავის თავზე აეღო. გვახსოვს ჩვენ, როგორც ვითარდებოდა ეს ყველაფერი.

***– კი გვახსოვს, მაგრამ რა მოხდა, რატომ გაირბინა მათ შორის შავმა კატამ?***

– მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი, იმიტომ რომ ორი ადამიანი ვიყავით პოლიტიკურ პროცესში, ვინც თავიდანვე განვაცხადეთ, რომ ჩვენ პოლიტიკაში არ დავრჩებოდით. ეს ვიყავი მე და ეს იყო გიორგი. მე მოვახერხე, ჩემდა საბედნიეროდ, ამ პროცესიდან გამოსვლა, იმიტომ რომ, მე ვთვლი, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის. გიორგიმ ეს ვერ მოახერხა და ეს იყო გუნდის თხოვნა მის მიმართ, რაზეც მან ვერ თქვა უარი. მას ახლა სხვა ვალდებულებები აქვს მარტო გუნდის წინაშე კი არა, სახელმწიფოს წინაშეც. ის ფუნქცია, რაც აიღო, მიუხედავად იმისა, რომ მორალურად მისი მდგომარეობა შეიძლება არ იყოს მთლად კარგი, რადგან მისთვის ყველაზე პატივსაცემმა ადამიანებმა, მისთვის ყველაზე ძვირფასმა ადამიანებმა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, სამართლიანად თუ უსამართლოდ, მისი კრიტიკა რომ დაიწყეს, ეს ძალიან მძიმე იყო. თუმცა არსებობს უფრო დიდი ვალდებულება, რომელსაც ის გრძნობს და თვლის, რომ ეს მძიმე ეტაპი უნდა გაიაროს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, იმიტომ რომ, სახელმწიფო ბევრად უფრო დიდი ფასეულობაა, ვიდრე ჩვენი პირადი ურთიერთობები. ჩემი აზრით, ამის არდანახვა და არდაფასება არ შეიძლება. რაც შეეხება მის გააქტიურებას, ის არის პრეზიდენტი და, რა თქმა უნდა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულია, იაქტიუროს. თუ გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებას, ამ შემთხვევაში ჩვენ ისიც ისევე უნდა ვაკრიტიკოთ, როგორც სხვები. ეს არის სამოქალაქო სექტორის ფუნქცია. მე ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავ, რომ ის აჭარბებს ან სხვის მოედანზე თამაშს აპირებს. აქტიურობა მისი ვალდებულებაა, არ არის მისი უფლება, რომ, თუ უნდა იაქტიუროს და, თუ უნდა – არა. ეს მისი ვალდებულებაა. ის არის პრეზიდენტი, კეთილი უნდა ინებოს და უნდა იყოს პრეზიდენტი.

***– მოვისმინე ასეთი კულუარული ინფორმაციაც, თითქოს ოცნების შიგნით განიხილება მარგველაშვილის იმპიჩმენტის საკითხი...***

– ეს ხომ სრული აბსურდია! კი მაგრამ, რისთვის? რაზე? იმპიჩმენტი ხომ არ შეიძლება, რომ სწორ ადგილზე იყოს?! მიზეზი თუ მისცა ნებისმიერმა ადამიანმა, მარგველაშვილი იქნება, პრემიერ-ინისტრი თუ სხვა, ეს ვალდებულებაა პარლამენტის, რომ იმპიჩმენტზე დააყენოს საკითხი, მაგრამ მიზეზი?! ხომ რ შეიძლება, იმპიჩმენტის მიზეზი ის იყოს, რომ არ მომწონხარ და წადი?! გიორგი მარგველაშვილი არის ერთადერთი ლეგიტიმური, პირდაპირი წესით არჩეული პირი ნაციონალურ არჩევნებზე ამ ქვეყანაში და ახლა მე არ მომწონხარ და ადექი და სახლში წადი, ასე არ გამოვა. თუ მიზეზი მისცა, ნებისმიერ ადამიანზე უნდა შედგეს ასეთი პროცედურა, მაგრამ მიზეზი რა არის, ძალიან მაინტერესებს!

***– თქვენ თუ გსმენიათ მსგავსი ინფორმაცია მისი იმპიჩმენტის თაობაზე?***

– შეიძლება, მსგავსი აზრები ვიღაცას თავში აქვს, მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა ამის შესაძლებლობა. თუ ახლა ადამიანი მიზეზს არ გაძლევს, რა პროცედურა უნდა დაიწყო, ძალიან მაინტერესებს. ეს ხომ ძალიან სასაცილოა!

***– დღეს თქვენ ამის საფუძველს ვერ ხედავთ?***

– რა თქმა უნდა და ვერც ვერავინ ხედავს. ისიც, ვინც ამაზე ფიქრობს, არა მგონია, რას უნდა ხედავდეს, რაც არ არის.

***– მიზეზი არის ის, რომ არ მოსწონხარ ბიძინა ივანიშვილს და ამიტომ მოგიწყობთ იმპიჩმენტს.***

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი მარგველაშვილს ძალიან ბევრი რამ აკავშირებთ, ძალიან დიდი თანამშრომლობა და მათ შორის პირადი ურთიერთობაც. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი რადგან აკრიტიკებს გიორგი მარგველაშვილს, ეს მათ რაღაცის საშუალებას უხსნის, ეს ძალიან დაბალი ინტელექტუალური მონაცემების ადამიანის აზრებია. ეს პატარა ადამიანების აზრებია. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა მოვისმინეთ ჩვენ ყოფილი პრემიერის მხრიდან, ეს არ აუქმებს მათ ურთიერთობებს. ვიღაცას ეს ასე ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. მოვა დრო და ამ სისულელეზე ძალიან მაგრად დაიწვებიან ვიღაცები. კრიტიკა არ ნიშნავს იმას, რასაც ისინი ფიქრობენ! მე შეიძლება ჩემმა ძმამ ძალიან მაკრიტიკოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ჩემი ძმა აღარ არის.

# ბიზნესმენებისთვის გრანტი გამოიყოფა

გულიკო ბალაძე

სახელმწიფო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებას იწყებს.

ამ მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი მეწარმეობის განვითარების სააგენტო იწვევს ორგანიზაციებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად.

მათთან პირველი შეხვედრა გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მოხდა.

პროგრამა 26 თვის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. პროგრამის განხორციელების დაწყება დაგეგმილია 2014 წლის 10 ოქტომბრიდან.

ამ პროგრამის მიხედვით მიკრო და მცირე ბიზნეს საქმიანობის წამოსაწყებად სახელმწიფო ბენეფიციარებს გრანტის სახით გამოუყოფს გარკვეული ოდენობის თანხას.

პროგრამის ხელშეწყობის მექანიზმი ითვალისწინებს თანამონაწილეობრივი დაფინანსების გაცემას სამიზნე რეგიონებში დამწყებ და არსებულ მეწარმე სუბიექტზე (გარდა იურიდიული პირებისა), ან მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე, რომელიც არაუმეტეს სამი სუბიექტისაგან შემდგარი ამხანაგობა იქნება (გარდა იურიდიული პირებისა).

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5 ათასი ლარით ერთ მეწარმეზე, რაც მეწარმეთა ჯგუფის შემთხვევაში 15 ათას ლარს შეადგენს.

მეწარმე სუბიექტის, ან ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტისა.

ამ პროგრამის ფარგლებში დამწყებ მეწარმეებს სახელმწიფო გაუწევს ტექნიკურ დახმარებას ტრენინგების, სტაჟირებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

როგორც პრეზენტაციაზე გაცხადდა, ამ პროგრამის მიზანია საქართველოში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, რეგიონული ბაზრების განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მიკრობიზნესის წამოწყების ხელშეწყობის პროგრამების დანერგვა.

პროგრამის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა მსხვილ ქალაქებსა და რეგიონს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. შესაბამისად, შემცირდება მიგრაცია რეგიონებიდან დედაქალაქში ან საზღვარგარეთ.

რეგიონში დამკვიდრდება თანამედროვე ბიზნესპრაქტიკა. მოხდება რეგიონალური პროდუქციის დივერსიფიკაცია, ადგილობრივ პროდუქციაზე მოთხოვნის მატება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

პროგრამაში ჩართვა შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელიც პროგრამაში ჩართვისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, სარგებლობს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამა გათვლილია რეგიონის მოსახლეობაზე (თბილისის გარდა) და ითვალისწინებს მიკრო და მცირე ბიზნესის დაფინანსებას რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციულად.

რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა კი შეადგენს 3,315,300 ადამიანს. პროგრამის საერთო ბიუჯეტი კი 20 მილიონი ლარია.

სამიზნე რეგიონები დაყოფილია 4 ლოტად.

პირველი ლოტში იქნება აჭარა, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი. მოსახლეობა – 1,011,700 ადამიანი; რეგიონში მცხოვრების მოსახლეობის 30,5%, სავარაუდო ბიუჯეტი – 6,100,100 ლარი;

მეორე ლოტში – კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლია.

ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა შეადგენს 827 600 ადამიანს, რომელიც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 25%-ია. სავარაუდო ბიუჯეტი კი 5 მილიონი ლარია.

მესამე ლოტშია – იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მოსახლეობა – 749,200 ადამიანს შეადგენს, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 22,6%-ია, სავარაუდო ბიუჯეტი 4,520,000 ლარია.

მეოთხე ლოტშია – სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 726800 ადამიანს, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 21,9%-ია. სავარაუდო ბიუჯეტი კი – 4,380,000 ლარია.

პროგრამის იმპლემენტაცია შეიძლება განახორციელოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, ანუ ორგანიზაციამ, რაშიც არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა, მოქმედმა ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა.

ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ საპროექტო წინადადებები.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს უფროსმა განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ბენეფიციარების უნარების ამაღლებისთვის ტრენინგების ჩატარება, რათა ამ ხალხმა მიიღოს ის ცოდნა, რომელიც საჭიროა ბიზნესის მართვისთვის.

ასევე მოხდება პროექტების შეფასება. აუცილებელია თანამონაწილეობა სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად.

– თუ თანადაფინანსების საშუალება არ აქვს?

– არ არის აუცილებელი ფულადი კონტრიბუცია. შესაძლებელია ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც შეიძლება ბიზნესში ჩაიდოს. ადამიანმა აუცილებლად პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს საკუთარი ბიზნესის მიმართაც. სახელმწიფო დაფინანსება არის სტიმული, რომლის მიხედვით მან საკუთარი ბიზნესი უნდა მართოს. თუნდაც მიკრობიზნესი. მიკრობიზნესით დაიწყოს და შემდგომ შეძლოს თავისი ბიზნესის განვითარება, – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს უფროსი ირაკლი ციკოლია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთი ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ მათი მიზანია სიცოცხლისუნარიანი პროექტების დაფინანსება. ასევე არ არსებობს რაიმე პრიორიტეტული სფერო, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს.

ის ოპერატორი, რომელიც ამ პროექტის განხორციელების უფლებას მოიპოვებს, სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იქნება.

პროგრამის განმავლობაში მოსალოდნელია დაფინანსების ორ-სამ ეტაპად განხორციელება, ანუ თანხა ნაწილ-ნაწილ გადაირიცხება.

კომპანიამ, რომელიც ამ პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს, წლის ბოლომდე უნდა შეძლოს პროექტის განხორციელების დაწყება.

ეს იმას ნიშნავს, წლის ბოლომდე უნდა მოხდეს, თანამონაწილეობრივი გრანტების გაცემა და ტექნიკური დახმარება, რომ მეწარმეებმა შეძლონ ბიზნესის მართვა.

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

## განცხადება

**05.03.2014 წელს გარდაცვლილი ასტღიკ აბრამოვას** (დაბადებული 05.01.1927 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21. მე-4 სართული).

დაინტერესებულმა პირებმა 2014 წლის 1 ოქტომბრამდე მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს.

# თბილისელი კავკასიელები შეიკრიბნენ

„თბილისის კავკასიელებმა“ ორმატჩიანი საკვალიფიკაციო რაუნდისათვის მზადება „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ დაიწყეს.

ლევან მაისაშვილმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 30 მორაგბეს მოუყარა თავი.

თბილისის კავკასიელები ჩელენჯ კაპზე მოსახვედრად იტალიურ „როვიგოს“ 20 და 27 სექტემბერს დაუპირისპირდებიან. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდი „ჩელენჯ კაპის“ გათამაშების პირველ ჯგუფში „კარდიფ ბლუზთან“, „ლონდონ აირიშთან“ და „გრენობლთან“ მოხვდება.

შეგახსენებთ, რომ „თბილისის კავკასიელები“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბების ნაკრებია, რომელიც ამ ტურნირში მონაწილეობისათვის შეიქმნა.

**ლევან მაისაშვილი, თბილისის კავკასიელების მთავარი მწვრთნელი:**

– გუნდი შეკრებაზეა. ჯერ 30 მოთამაშეს მოვუყარეთ თავი. მეტის შეკრება გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ რამდენიმემ უმაღლესი ლიგის ბოლო ტურში ტრავმები მიიღო და გუნდს ვერ დაეხმარება. საუბარია გიორგი ტორაძეზე და გელა შალამბერიძეზე. ამასთან ერთად პრობლემურია პირველი ხაზის მოთამაშეების შერჩევა. გუნდთან ერთად შეკრებაზე იმყოფებიან გიორგი შკინინი და ბექა წიკლაური, რომლებიც 13 და 14 სექტემბერს გრან-პრის მანჩესტერის ეტაპზე 7-კაცას დაეხმარებიან და ორშაბათიდან დაგვიბრუნდებიან. პირველი ვარჯიშის შემდეგ უფრო კონკრეტულად გვეცოდინება, რაზე უნდა ვიმუშაოთ „როვიგოს“ მატჩისათვის. გამგზავრებამდე ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე მოთამაშის დამატებას შევძლებთ.

**საშეჯიბრო ჩაზმი**

ბაჩანა გოგიშვილი (ყოჩები), გიორგი სანიკიძე (ლელო სარასენს), ბადრი ალხაზაშვილი (ლელო სარასენს), ირაკლი ჩომახაშვილი (არმაზი), დავით გურგენაძე (არმია), სანდრო ქოიავა (ლელო სარასენს), ბექა ბიწაძე (ლოკომოტივი), მიხეილ არჩუაშვილი (ყოჩები), ბექა ნიკოლაიშვილი (ლელო სარასენს), ელგუჯა სურგულაძე (ლელო სარასენს), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ბაჩანა კოლელიშვილი (ლელო სარასენს), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქი), ბექა ყურაშვილი (აია), ზვიად მაისურაძე (ლელო სარასენს), გიორგი კაჭარავა (ლელო სარასენს), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), ლაშა ხმალაძე (ლელო სარასენს), გიორგი ტალახაძე (ლელო სარასენს), ალექსანდრე თოდუა (ლელო სარასენს), მურაზ გიორგაძე (არმაზი), გიორგი შკინინი (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო სარასენს), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), გიორგი აფციაური (აია), ირაკლი ჩხიკვაძე (არმია), ილია კაიკაციშვილი (ჯიქი), თორნიკე ცერცვაძე (ლელო სარასენს), თემურ სოხაძე (ყოჩები).

# ჩილიჩმა პირველი სადიდსლემო ტურნირი მოიგო

ამერიკის ღია პირველობა ჩოგბურთში დაახლოებით 2 კვირას გრძელდებოდა და საკმაოდ სანახაობრივიც გამოდგა. საბოლოოდ გაირკვა გამარჯვებული როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა თანრიგებში.

შარშანდელი წლის ტრიუმფატორი, სერენა უილიამსი ამერიკაში უძლეველია. ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა დანიელი კაროლინა ვოზნიაცკი 6:3, 6:3 და რამდენიმე რეკორდიც დაამყარა.

ეს გამარჯვება ნიუ-იორკში მისთვის მე-6, ხოლო მიჯრით მე-3 აღმოჩნდა, რომლის პრეცედენტი 1975-78 წლების შემდეგ არ ყოფილა. საერთო ჯამში კი, ამერიკელი „გამანადგურებელი“ მეთვრამეტედ იზეიმა ჩემპიონობა „დიდ სლემზე“.

სერენა ამ მაჩვენებლით ამერიკელი კრის ევერტის და მარტინა ნავრატილოვას გაუთანაბრდა. ყველაზე მეტი დიდი სლემის მომგები კი კვლავ შტეფი გრაფი რჩება, რომელსაც 22-ჯერ უმარჯვია და დღემდე სარეკორდო მაჩვენებელი აქვს.

მამაკაცთა თანრიგის ნახევარფინალებით იმედგაცრუებული საჩოგბურთო სამყარო სანახაობრივი ფინალის მოლოდინში ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ბრძოლას ყველა მოელოდა.

2014 წლის ამ გათამაშების ქალთა და მამაკაცთა ფინალებისთვის, შესაბამისად ორ და სამსეტიან დაპირისპირებაში ანგარიში 6:3 ერთადერთი აღმოჩნდა.

25 წლის ხორვატის მარენ ჩილიჩისთვის ეს ტიტული პირველია „დიდი სლემის“ გათამაშებებზე.

– ვგრძნობ, რომ საუკეთესოდ ვითამაშე ჩემს კარიერაში, – ეს სიტყვები ტოპ ათეულის მოთამაშეების უშანსოდ დატოვების ფონზე, რეალობას მოკლებული ნამდვილად არ არის.

ჩილიჩმა 6-3,6-3,6-3 ამ ანგარიშით დაამარცხა მან იაპონელი ნიშიკორი და დამსახურებულად გახდა ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული, მაგრამ ამ დიდებული გამარჯვების შემდეგაც ვერ შევიდა საუკეთესო ათეულში.

საერთოდაც, ჩილიჩი მეორე ხორვატი ჩოგბურთელია, რომელმაც დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ეს მანამდე, მისმა ამჟამინდელმა მწვრთნელმა გორან ივანიშევიჩმა 2001 წელს უიმბლდონზე გამარჯვებით შეძლო.

ამ მოგებით ხორვატმა ჩოგბურთელმა 3 მილიონი დოლარი დაიმსახურა, ხოლო იაპონელ კეი ნიშიკორის ფინალში გასვლისთვის 1.450.000 დოლარი ერგო.

# ფაბიანო კარუანას ფენომენალური შედეგი



ბოლო პერიოდში საჭადრაკო სამყაროში შემოიჭრა ამერიკაში დაბადებული იტალიელი მოჭადრაკე ფაბიანო ლუიჯი კარუანა. 22 წლის მოჭადრაკემ ახლახან ფენომენალური შედეგით 10-დან 8,5 ქულა და 3100 რეიტინგ– პერფომანსით დაასრულა სენტ-ლუისში დასრულებული „რექს სინკფილდის თასის“ გათამაშება.

მსგავსი შედეგი სუპერტურნირებში იშვიათად დაფიქსირებულა. სპეციალისტები კარუანას შედეგს ადარებენ 1994 წელს კარპოვის დამაჯერებელ გამარჯვებას ესპანეთის ლინარესში გამართულ სუპერტურნირში. თუმცა, შემადგენლობა სენტ-ლუისში უფრო ძლიერი შემადგენლობა იყო. რადგან, შეჯიბრის ექვსივე მონაწილე მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგ სიის ათეულის წარმომადგენელია.

გამარჯვებულმა პირველი შვიდი პარტია მოიგო, მომდევნო სამი ფრედ დაასრულა და მეორე ადგილზე გასულ მსოფლიოს ჩემპიონსა და რეიტინგ სიის ლიდერ მაგნუს კარლსენს მთელი 3 ქულით გაასწრო.

მესამე ადგილზე 5 ქულით მსოფლიოს ექსჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი გავიდა.

4-4 ქულით 4-5 ადგილები ლევონ არონიანმა და მაქს ვაშიე-ლაგრავმა გაინაწილეს. ბოლო ადგილზე კი, 3 ქულით ჰიკარუ ნაკამურა გავიდა.

ტურნირის დასასრულს გამართულ პრესკონფერენციაზე ტურნირის მონაწილეებს სთხოვეს ერთი სიტყვით დაეხასიათებინათ კარუანას გამოსვლა და ტურნირის საუკეთესო პარტია:

ნაკამურა: ფანტასტიკური; კარუანადვაშიე ლაგრავი (1:0);

ტოპალოვი: ერთი სიტყვით ვერ გამოხატავ; ნებისმიერი კარუანას მოგებული;

კარლსენი: დამთრგუნველი; ტოპალოვი-კარუანა (0:1);

ვაშიე-ლაგრავი: დაუნდობელი; კარლსენი-კარუანა (0:1);

არონიანი: განსაცვიფრებელი; კარლსენი-კარუანა (0:1).

# ფეხბურთელებმა საქართველო—ირლანდია შეაფასეს

საქართველო–ირლანდიას მატჩის შემდეგ, ორივე ნაკრების ფეხბურთელებმა თამაში შეაფასეს.

**ჯაბა კანკავა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– დასანანი მარცხი განვიცადეთ. ბოლო წუთზე კონცენტრაცია დავკარგეთ, რაც ასეთ მეტოქესთან დაუშვებელია, შესაბამისად დავისაჯეთ.

**გურამ კაშია:**

– რა თქმა უნდა, მძიმე მარცხია და, რასაკვირველია, ყველანი დამწუხრებულნი ვართ. დაუშვებელი იყო ბოლო წუთზე ასეთი უყურადღებობა. დარჩენილ მატჩებში შევეცდებით, რომ მაქსიმალური რაოდენობის ქულები დავაგროვოთ.




**დავით თარგამაძე:**

– სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. შეგვეძლო ერთი ქულა აგვეღო. ირლანდია ძლიერი გუნდია, ბოლო წუთზე არ უნდა მოვდუნებულიყავით. თუმცა, ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. მოვემზადებით მომდევნო თამაშებისთვის.

**თორნიკე ოქრიაშვილი:**

– 5 მცველით ვთამაშობდით, მეორე ნომრად. რთულია დაცვიდან შეტევაში გადასვლა. ჩვენ პირველ ნომრად თამაშიც შეგვიძლია და ალბათ მომდევნო თამაშებში ასეც იქნება. მთავარია შეცდომები გამოვასწოროთ და შემდეგ მატჩებში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

ეიდენ მაკგიდი:

– საკვალიფიკაციოში მართლა პირველი გოლი გავიტანე? არცთუ ცუდია. ისე, პირველი გოლის დროს, ცოტა გამიმართლა. ჯონ უოლტერსმა ბურთი მოიგერია, რობი კინმა გაატარა, ხოლო ჯეიმს მაკარტნი სიტუაციაში მშვიდად გაერკვა. მას დარტყმა თავადაც შეეძლო, მაგრამ ბურთი მე გადმომაწოდა. რა თქმა უნდა, უფრო მეტის გატანა მსურს. განვლილი ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციოებში ვგრძნობდი, რომ კარგად ვთამაშობდი, მაგრამ არა შესაძლებლობების მაქსიმუმზე. ჩემთვის და გუნდისთვის კარგი დასაწყისია. იმედია, ამ წარმატებას განვავითარებთ. ვიცი, რომ ნაკრებში უფრო მეტი გოლი უნდა გავიტანო. საკლუბო დონეზე ამ მხრივ საქმე არცთუ ცუდად მაქვს, მაგრამ ნაკრებში უფრო შედეგიანად თამაშია საჭირო.

**სიმუს კოულმენი:**

– მაკგიდის თამაშამდე ვუთხარი: შენ შეგიძლია მატჩის მოგება, მთავარი ფუნქციის შესრულება გამარჯვების მისაღწევად. მოხარული ვარ, როცა წამით ტრიბუნები გაირინდა, გოლი გავიდა და ეს მოხდა ევერტონელთა შესრულებით, შედეგი ჯეიმს მაკარტისა და ეიდენ მაკგიდის აქტიურობისა. ეიდენს ვუყურებდით ყოველდღე და ვარჯიშისას ვგრძნობდით ერთს, მის უდავოდ კარგ სათამაშო ფორმას. შეძლო ჩემი აზრის საქმედ გადაქცევა და მოვიგეთ მაკგიდის დუბლით. ეს ფანტასტიური იყო“ – აღნიშნა კოულმენმა.

„გოლის გაშვების შემდეგ ჩვენი თამაშის ხარისხი დაეცა, თუმცა არ შევშინებულვართ. ვინარჩუნებდით ბურთს და საბოლოოდ მოვიგეთ.

# ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი კალათბურთში 4 ქვეყანაში ჩატარდება

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი, რომელიც უკრაინაში უნდა გამართულიყო, 4 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდება. ევროპის ჩემპიონატის 4 ჯგუფი სათითაოდ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ლატვიის დედაქალაქ რიგასა და საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში განაწილდება. ჩემპიონატის დასკვნით ნაწილს კი საფრანგეთის ქალაქი ლილი უმასპინძლებს, სადაც თავს ჯგუფებიდან გასული გუნდები მოიყრიან.

ეს გადაწყვეტილება მადრიდში, ფიბა-ევროპის მმართველი საბჭოს საგანგებო შეხვედრაზე მიიღეს. ცვლილებაა გათამაშების ფორმატში. ჯგუფში კვლავინდებურად 6 გუნდი იქნება, თუმცა მომდევნო ეტაპზე 4 საუკეთესო გავა. ამასთან, აღარ იქნება მეორე ჯგუფური ეტაპი და ჯგუფებიდან გასული 16 გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან გააგრძელებს.

ევრობასკეტის კენჭისყრა, სავარაუდოდ, იანვარში გაიმართება, რის შემდეგაც გაირკვევა, თუ რომელ ქვეყანაში ითამაშებს საქართველო – შესაბამისად, სხვა ნაკრებებიც. ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის ყველა მატჩი ქალაქ ლილის პიერ მუროს სახელობის 27.000-იან დარბაზში გაიმართება.

**თურგაი დემირელი, ფიბა-ევროპის პრეზიდენტი:**

– ესაა მნიშვნელოვანი მომენტი ევროპულ კალათბურთში. ყველა კანდიდატი ღირსეული იყო და რთული იყო მათ შორის არჩევანის გაკეთება. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას, რომლებმაც ევრობასკეტის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს. თითოეულმა მათგანმა დიდი სამუშაო გასწია.

**მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:**

– საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ სად ჩატარდებოდა ევროპის ჩემპიონატი. რა გადაწყვეტილებაც მიიღეს, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპული კალათბურთისთვის, მისი დაახლოებისთვისა და განვითარებისთვის. როცა იქნება კენჭისყრა, მაშინ შევიტყობთ, თუ სად, რომელ ქვეყანაში მოგვიწევს ჯგუფურ ეტაპზე თამაში. თუკი ჯგუფიდან გავალთ და ჩვენს ნაკრებს ამის ამბიცია ნამდვილად ექნება, პლეი ოფის მატჩებს საფრანგეთის ქალაქ ლილში ვითამაშებთ.

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი 5-20 სექტემბერს გაიმართება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრო2016. შესარჩევი ეტაპი** | |
| ესპანეთიდმაკედონია | 5:1 |
| უკრაინადსლოვაკეთი | 0:1 |
| ლუქსემბურგიდბელარუსი | 1:1 |
| შვეიცარიადინგლისი | 0:2 |
| სან მარინოდლიტვა | 0:2 |
| ესტონეთიდსლოვენია | 1:0 |
| ავსტრიადშვედეთი | 1:1 |
| რუსეთიდლიხტენშტეინი | 4:0 |
| ჩერნოგორიადმოლდოვა | 2:0 |
| **ცენტრალური ამერიკის თასი** | |
| პანამადკოსტა რიკა | 2:2 |
| გვატემალადბელიზი | 2:1 |
| ჰონდურასიდსალვადორი | 0:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ს.კორეადურუგვაი | 0:1 |
| უზბეკეთიდა.ზელანდია | 3:1 |
| ს.არაბეთიდავსტრალია | 2:3 |
| **ევრო2015. შესარჩევი ეტაპი (21)** | |
| ესტონეთიდსლოვენია | 1:7 |
| ლუქსემბურიდშოტლანდია | 0:3 |
| ბოსნიადუნგრეთი | 1:4 |
| ჰოლანდიადსლოვაკეთი | 0:1 |
| უკრაინადლიხტენშტეინი | 3:0 |
| შვეიცარიადლატვია | 7:1 |
| საფრანგეთიდისლანდია | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ჩილიჩიდნიშიკორი | 6:3;6:3;6:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ფიფა ყატარის თარიღებზე ფიქრობს




როგორც ცნობილია, 2022 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ყატარში გაიმართება, სადაც ფეხბურთის თამაში კლიმატურად რთულ პირობებში აყენებს ფეხბურთელებს. ამიტომაც მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს წევრები სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე შეიკრიბნენ და ყატარში 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების თარიღზე ისაუბრეს.

ფიფა ტრადიციული ივნისი-ივლისის ნაცვლად, 2022 წლის მუნდიალზე ორ ვარიანტს განიხილავს: ნოემბერი-დეკემბერი ან იანვარი-თებერვალი. აღნიშნულ შეხვედრას ევროპული კლუბების, უეფას და 2022 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებიც დაესწრნენ.

ფიფა 2022 წლის მუნდიალის ჩატარების თარიღის დამტკიცებას არაუგვიანეს 2015 წლის თებერვლისა აპირებს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2014, 10 სექტემბერი, №214

# თავისუფალ თეატრს ბათუმში ელოდებიან

ეკა ირემაშვილი

**10 სექტემბრიდან თავისუფალი თეატრი ბათუმში დიდ გასტროლებს იწყებს. ბათუმის დრამატულ თეატრში 10-დან 13 სექტემბრის ჩათვლით თავისუფალი თეატრი ბათუმელი მაყურებლის წინაშე ოთხი სხვადასხვა სპექტაკლით წარდგება. ყველას რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილია.**

– ეს არის თავისუფალი თეატრის ისტორიაში პირველი ღირსშესანიშნავი ფაქტი, როდესაც მთელი თეატრი, სრული დასით მიემგზავრება ბათუმში საგასტროლოდ და უჩვენებს ოთხ არაჩვეულებრივ სპექტაკლს, – აცხადებს თეატრის დამაარსებელი რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

10 სექტემბერს თავისუფალი თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს „რიჩარდ III“, სადაც რიჩარდის როლს აპოლონ კუბლაშვილი ითამაშებს. 11 სექტემბერს გათამაშდება „მექანიკური ფორთოხალი“, 12 სექტემბერს „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ ხოლო გასტროლს 13 სექტემბერს დაასრულებს „კავკასიური ცარცის წრე“, სადაც აზდაკის როლში გოგა ბარბაქაძე წარდგება.

– ქართული თეატრის ყველაზე რეიტინგულმა, ყველაზე სკანდალურმა „თავისუფალმა თეატრმა“ თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე წარმატებით უჩვენა სპექტაკლები 17 ქვეყანაში, გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ქართული პრესის მიერ ის არაერთხელ დასახელდა როგორც „ყველაზე წარმატებული ქართული თეატრი“, მაგრამ ამ 15 წლის მანძილზე „თავისუფალმა თეატრმა“ პოლიტიკური მიზეზების გამო, ვერც ერთხელ ვერ გამართა გასტროლი ბათუმში და, აი, მხოლოდ ახლა, აჭარის კულტურისა და განათლების სამინისტროს მოწვევით „თავისუფალი თეატრი“ პირველად მართავს გასტროლს ქალაქ ბათუმში. ნახეთ „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლები. იხილეთ სცენაზე თქვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი ტელე და კინო მსახიობები, თქვენ მათ იცნობთ სერიალებიდან „შუა ქალაქი“, „გოგონა გარეუბნიდან“. ასევე მხატვრული ფილმებიდან „იდიოტოკრატია“, „ყველაფერი კარგად იქნება“, „ისპახან-ბათუმი“, „მიდი ძმაო, მიდი“. გარწმუნებთ თქვენ გელით დიდი სიამოვნება. ჩვენ გელით, – აცხადებენ თავისუფალ თეატრში.



ავთანდილ ვარსიმაშვილი ბათუმის თეატრთან აქტიურად თანამშრომლობს. მან თეატრის დასთან ერთად ივლისის თვეში მაყურებელს შესთავაზა სპექტაკლი „ტერეზა რაკენი“, რომელიც მის მიერვეა ინსცენირებული და გადმოქართულებულია ემილ ზოლას „ტერეზა რაკენის“ მიხედვით. რეჟისორის ინსცენირებულ ვერსიაში ხუთი მოქმედი გმირია. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა შესანიშნავმა სცენოგრაფმა მირიან შველიძემ. სცენაზე თავისი სამსახიობო ხელოვნება წარმოადგინეს ნატო გოგიტაურმა, მეგი კობალაძემ, ტიტე კომახიძემ, ზაალ გოგუაძემ და ზურაბ ქავთარაძემ.

– ემილ ზოლას ეს რომანი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე კლასიკოსთა ნაწარმოებებში, მარადიულ თემაზეა დაფუძნებული: ცოდვა და მისი შედეგი, საიდან იღებს სათავეს ცოდვის ეს ისტორია, როგორ ვითარდება ადამიანურ მძაფრ ვნებებზე აგებული ამბავი და როგორ იქცევა ჯალათი საკუთარი თავის ჯალათად, – ამბობს ავთო ვარსიმაშვილი.

ცხელი ზაფხულის შემდეგ ავთანდილ ვარსიმაშვილი კვლავაც ბათუმს უბრუნდება, ამჯერად თავისუფალი თეატრის გასტროლებით. ზაფხული რეჟისორმა აქტიური დასვენებისთვისაც გამოიყენა და მუშაობისთვისაც. ესტონეთის ქალაქ ტარტუში ავთანდილ ვარსიმაშვილი დგამს სპექტაკლს „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“. რეპეტიციები ქართველმა რეჟისორმა მსახიობებთან ერთად ვაიმუნეს 145 წლის თეატრში ჩაატარა, ტარტუში ყოფნის დროს სასიყვარულო ფილმების კინოფესტივალსაც დაესწრო, რომელიც მისი ბინის ფანჯრებთან დაიწყო. 5.000-მა კაცმა ღია ცის ქვეშ უყურა ფილმებს. ცნობილი კინოფილმების სიაში მოხვდა „შერბურის ქოლგები“. სწორედ ამ ფესტივალზე გაუჩნდა ვარსიმაშვილს იდეა: „ჩვენთან რომ გავაკეთოთ ასეთი ფესტივალი რამდენი ადამიანი მოვა? აქ მთელი კვირა ანშლაგებია, 5.000 კაცი ზის და მგონი ერთი მაგდენი კიდევ ფეხზე დგას, ფილმების ხარისხი ვერ ვიტყვი, რომ მაღალია, ესენი კი მაინც დადიან, უყურებენ, მსჯელობენ, იხილავენ. როგორ მინდა ჩვენთანაც ვნახო ოდესმე ესე“.

ახალ სპექტაკლზე მუშაობის პარალელურად, ავთანდილ ვარსიმაშვილი ესტონეთში იქაურ სპექტაკლებსაც დაესწრო: „180 კილომეტრი გავიარე, რომ მენახა ქალაქ რაკვერეში „ჰამლეტი“, ამ ქალაქში 17.000 მცხოვრებია, აქვს 3 თეატრი, თეატრის ბიუჯეტია 2,5 მილიონი ევრო, აქ დგას გენიალური და ჩემი საყვარელი კომპოზიტორის არვო პიარტის ქანდაკება, რომელიც ამ ქალაქში დაიბადა. მოედანზე თავის დროზე კლასიკურ მუსიკას გადმოსცემდნენ რადიოთი და პიარტი ველოსიპედით მოდიოდა ყოველდღე მუსიკის მოსასმენად, ამიტომაცაა ის ველოსიპედზე ამხედრებული“.

თავისუფალი თეატრი ბათუმური გასტროლების შემდეგ კვლავ თბილისს დაუბრუნდება და ახალ თეატრალურ სეზონს 16 სექტემბერს გახსნის.

სპორტი

## ესპანელებმა მოგებით დაიწყეს

ევროშესარჩევი ეტაპის მეორე დღე ნაკლებსენსაციური გამოდგა, თუმცა მოულოდნელი შედეგები დაფიქსირდა.

ევროპის ჩემპიონებმა, ესპანელებმა „სიუდად დე ვალენსიაზე“ მაკედონიის ნაკრებს უმასპინძლეს და იოლი გამარჯვება მოიპოვეს – 5:1.

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა – დავიდ სილვას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, სერხიო რამოსმა ზუსტად დაარტყა. ზუსტად ერთ წუთში, ოფიციალურ მატჩებში დებიუტის მქონე პაკო ალკასერმა ანგარიში გაზარდა.

28-ე წუთზე პენალტი უკვე კასილასის კარის მიმართულებით დაინიშნა – ხუანფრანმა მეტოქე საჯარიმოში წააქცია და იბრაიმმა სხვაობა შეამცირა. თუმცა, სტატუსკვო ტაიმის მესამე დამატებულ წუთზე აღდგა, როდესაც სერხიო ბუსკეტსმა თავისი პირველი გოლი გაიტანა ნაკრების მაისურით.

მეორე ტაიმში დავიდ სილვას ჯერი დადგა და 50-ე წუთზე მეოთხე გაიტანა, ხოლო 91-ე წუთზე იმავე სილვას პასით, პედრომ დასვა მატჩის წერტილი 5:1.

ამ მატჩში კიდევ ერთი გამოსარჩევი ფაქტი ისაა, რომ დებიუტი ჰქონდა 19 წლის მუნირ ელ ჰადადის, რომელმაც 77-ე წუთზე კოკე შეცვალა. ეს აღსანიშნავი იმიტომ არის, რომ ელ ჰადადის მაროკოს ეროვნულ ნაკრებშიც შეეძლო თამაში.

რთული, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ინგლისის ნაკრებმა. „ლომებმა“ დენი უელბეკის წყვილი გოლით იმარჯვეს.

შვედეთი ვენაში ქულას დასჯერდა ავსტრიის ნაკრებთან, ხოლო უკრაინამ კიევიდან 3 ქულა გაატანა სლოვაკეთს.

გასაკვირი იყო ბელარუსთა ფრეც ლუქსემბურგში, ასევე ესტონელთა გამარჯვება სლოვენიელებთან. ხოლო რუსეთმა, ლიტვამ და ჩერნოგორიამ იოლად დაამარცხეს ლიხტენშტეინის, სან მარინოსა და მოლდოვის ნაკრებები.

მ. ჟ.

# ვინ დაეხმარება აზერბაიჯანულ თეატრს?

ეკა ირემაშვილი

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი მეათე თეატრალურ სეზონზეც ვერ უმასპინძლებს თავის მაყურებელს საკუთარ კედლებში, რადგან იქ ისევ გაუსაძლისი პირობებია.

ჰეიდარ ალიევის სახელობის სახელმწიფო აზერბაიჯანულ დრამატულ თეატრს თბილისში არსებობის მრავალწლიანი ისტორია აქვს, აზერბაიჯანული სახალხო სახლი, რომელიც აგრეთვე ცნობილი იყო ნარიმანოვის კლუბის სახელით 1910-1947 წლებში ფუნქციონირებდა და მსოფლიო კლასიკის ნიმუშებთან ერთად იდგმებოდა აზერბაიჯანული პიესებიც. შემდეგ თეატრმა შეწყვიტა არსებობა და 2004 წელს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ აღდგა. თუ ადრე სპექტაკლებში ქალის როლის შესრულება მამაკაცებს უწევდა, ახლა თანამედროვე თეატრში თანაბარი უფლებებით თამაშობენ წარმოდგენებში ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მსახიობები. თბილისის აზერბაიჯანული თეატრი ტრადიციას არ ღალატობს, ითარგმნება და იდგმება აღმოსავლური, ქართული, რუსული, ევროპული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები გამოცდილი და სახელმოხვეჭილი რეჟისორების მიერ და დასის წევრებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თარგმანს. თეატრი ხშირად აწყობს გასვლით სპექტაკლებს საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში – მარნეულში, ბოლნისში, დმანისში... დასმა მონაწილეობა მიიღო ბაქოსა და მერსინის თეატრალურ ფესტივალებშიც...

პრემიერებს თბილისში, ხან მარჯანიშვილის თეატრის, ხან კი გრიბოედოვის მცირე სცენებზე თამაშობენ, რადგან საკუთარი არც მაყურებელთა დარბაზი გააჩნიათ და არც სცენა, არ არსებობს საგრიმიოროებიც. აბსოლუტურად მოშლილი და განადგურებულია ინფრასტრუქტურა, ავარიულია თეატრის შენობა, რომელიც ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, როგორც გარეთ წვიმს, ისე წვიმს შიგნითაც. თეატრიდან წლების მანძილზე იგზავნება წერილები აზერბაიჯანისა თუ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში, ითხოვენ დახმარებას, თეატრის რემონტს, თუმცა, როგორც თეატრის საინფორმაციო სამსახურში განმარტავენ, მათ მიერ გაგზავნილ არცერთ წერილზე პასუხი არავის გაუცია...

თბილისის აზერბაიჯანული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი წლების განმავლობაში იყო ცნობილი რეჟისორი გოჩა კაპანაძე, იგი დგამდა და ახალგაზრდა აზერბაიჯანელ მსახიობებსაც უწყობდა ხელს დაედგათ სპექტაკლები, სწორედ გოჩა კაპანაძის მოთხოვნით მიენიჭა თეატრს 2008 წელს ჰეიდარ ალიევის სახელი. მან დააკომპლექტა ადმინისტრაციული და შემოქმედებითი ჯგუფები კვალიფიციური, პროფესიონალი ადამიანებით, მიიყვანა თეატრში ახალგაზრდა მოყვარული მსახიობები. იგი 8 წელი ელოდებოდა რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მაინც მიაქცევდნენ თეატრს ყურადღებას, მაგრამ ლოდინმა დაღალა, შეწუხდა იმედგაცრუებით და წავიდა დაკავებული თანამდებობიდან. ამჟამად თეატრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გოჩა კაპანაძის შემცვლელზე ბევრი არ უფიქრია და იქ სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი ზურაბ სიხარულიძე დანიშნა, რომელიც საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და დიდი მაესტროს დოდო ალექსიძის ყოფილი სტუდენტია. ზურაბ სიხარულიძეს თურქეთის რესპუბლიკაში მოღვაწეობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს, ბრწყინვალედ ფლობს თურქულ ენას, ანკარისა და სტამბოლის თეატრებში დგამდა და ახლაც დგამს სპექტაკლებს. ახალგაზრდა თურქი ვარსკვლავების უმრავლესობა სწორედ მისი აღზრდილია.

აზერბაიჯანული თეატრის საინფორმაციო სამსახურის უფროსის კახი ლაზარიშვილის თქმით, ბატონი ზურაბი დანიშვნის დღიდან დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას და სჯერა რომ პირველ რიგში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მიაქცევს თეატრს ყურადღებას და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდანაც ადრე თუ გვიან დახმარების იმედი აქვს.

ზურაბ სიხარულიძემ ახლახან სტამბოლის კულტურის ცენტრში თურქეთის თეატრისა და კინოს საუკეთესო და შერჩეული მსახიობების ჯგუფთან იმუშავა და დადგა შექსპირის „რიჩარდ III“. სტამბოლიდან დაბრუნებული კი აზერბაიჯანული თეატრის მსახიობებთან ერთად შეუდგა ახალ სპექტაკლზე მუშაობას.

– სეზონს ორი პრემიერით გავხსნით. მოლიერის პიესას „ჟორჟ დანდენი“ ზურაბ სიხარულიძე დგამს, ხოლო ილიას ეფენდიევის „შენ ყოველთვის ჩემთან ხარ“, თურგაი ველი-ზადე განახორციელებს. მაყურებელსაც იქ ვუმასპინძლებთ, სადაც პრემიერებს წარმოვადგენთ, როგორც ყოველთვის ეს ახლაც თბილისის რომელიმე დრამატულ თეატრში მოხდება, – აცხადებს აზერბაიჯანული თეატრის საინფორმაციო სამსახურის უფროსი კახი ლაზარიშვილი.

ზურაბ სიხარულიძეს ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე „ახალი თაობა“ დაუკავშირდა. როგორც მან განაცხადა, ყველაფერს გააკეთებდა, თუკი სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა იქნებოდა. აზერბაიჯანული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დასს თურქეთშიც წაიყვანდა გასტროლებზე და ახალ სპექტაკლებზეც იმუშავებდა.

**ზურაბ სიხარულიძე:**

– აზერბაიჯანულ თეატრზე ის ვიცი, რომ ამ თეატრში იყო გოჩა კაპანაძე, ხელმძღვანელობდა აქაურობას და აკეთებდა თავის საქმეს, სამწუხაროდ, სხვა ინფორმაცია არ მაქვს. არც სპექტაკლები მინახავს, როგორი სახისაა, ამიტომ ჯერ კარგად უნდა გავერკვე ყველაფერში. ვიცი მარტო ის, რომ სულ თეატრში 13 მსახიობია, აქედან ვინ მსახიობია და ვის უნდა რომ იყოს მსახიობი, ეს გასარკვევია. თეატრში ყოველთვის ასე იყო, იყვნენ მსახიობები, იყვნენ პროფესიონალები და იყვნენ ისინი, ვისაც უნდოდა მსახიობობა.

***– აპირებთ, აზერბაიჯანული თეატრი წაიყვანოთ თურქეთში გასტროლებზე?***

– რა თქმა უნდა. ახალციხის თეატრიც მინდოდა, წამეყვანა გასტროლებზე, სპექტაკლიც დავდგი სამაგისოდ მესხეთის თეატრში, ტრაპზონის ფესტივალზე გველოდებოდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში მოხდა იქ რაღაც, მერე გაირკვა, რომ არ უნდა მომხდარიყო, უცებ დამირეკეს, ორ დღეში ჩამოდითო და ამხელა თეატრის ორ დღეში წაყვანა შეუძლებელი იყო. აზერბაიჯანული თეატრის წაყვანასაც ვფიქრობ, მით უმეტეს, მისი სამხატვრო ხელმძღვანელი გავხდი, თან ახალციხის თეატრის მთავარი რეჟისორიც ვარ. იმედია, ორივეგან მოვახერხებ მუშაობას და პრობლემები არ შემექმნება. რაც შეეხება გასტროლს, აზერბაიჯანული თეატრის წაყვანა უფრო ადვილია თურქეთში, ენობრივი სიახლოვე არსებობს, ამიტომ გასტროლებზე აუცილებლად წავალთ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. საარტილერიო ქვედანაყოფი; 2. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. ჩინური ფაიფური; 7. ძველბერძენი ორატორი, ფილოსოფოსი; 9. კუთხე საქართველოში; 13. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 15. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 16. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

**თარაზულად**; 4. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 8. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ფულის ერთეული მონღოლეთში; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მდინარის მიერ ჩამოტანილი სილა, ღორღი; 17. მუზეუმი მადრიდში; 19. ოქრომჭედლობაში, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული წნული; 20. ტერიტორიული ერთეული შუა-საუკუნეების საქართველოში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ხეების ფესვებზე, კუნძებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. გულუბრყვილო, უეშმაკო მომნდობი ადამიანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიკონავტი; 2. როტორი; 3. რევერსი; 4. დვალი; 5. „ვალმარტი“; 6. ჟესტი; 7. ბიგამია; 9. გრაცია; 13. ატოლი; 17. „გოია“; 18. ერი.

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 3. რონოდა; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. „ტოკაი“; 12. კიშლაკი; 14. „ნარიტა“; 15. პრისტლი; 16. ტემზა; 19. დელონი; 20. პინჩერი; 21. დივანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. უაილერი; 2. სამორინე; 3. აკიჰიტო; 5. ბიოლოგია; 7. უნგრეთი; 9. აბსოლუცია; 13. „ნაცნობი“; 15. ზნეობა; 16. ხვიჩია; 18. აჯიკა.

**თარაზულად:** 4. ტარიბანა; 6. სპარტაკი; 8. ოლიგოფრენია; 10. ბერსეზი; 11. სეტი; 12. მთვარე; 14. მზისა; 17. ზურნა; 19. სეიმი; 20. ეჩხაბერი; 21. არნო; 22. „განდაგანა“; 23. „კაიზერი“.

# ვარძიის გადარჩენისთვის 570.000 ლარი გამოიყო

ეკა ირემაშვილი

ვარძიის კომპლექსის გადარჩენის 4-წლიანი პროექტი დაიწყო. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ვარძიის კომპლექსისათვის 570.000 ლარის გამოყოფის შესახებ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ეწვია და გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა



სააგენტოს თანამშრომლებთან. მინისტრს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ უმასპინძლა. შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მიმდინარე მასშტაბურ პროექტებს, მათ შორის ვარძიის კომპლექსის გადარჩენის 4 წლიან პროექტს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით ხორციელდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით უკვე დაიწყო უნიკალური კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის 4 წლიანი პროექტი, რომლის პირველ ეტაპზე დაგეგმილია მულტიდისციპლინარული კვლევები და მთელი რიგი სამუშაოები.

პროექტის შედეგად შემუშავდება ვარძიის კომპლექსის კლდის დაზიანებათა და ქვათაცვენის რისკების პირველადი რუკები; მოხდება საკონსერვაციოს საჭიროებების პირველადი შეფასება.

კონკრეტული გადარჩენითი ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება წყლის მასების ფერდობებზე ჩამოდინება და შესაბამისად მოხდება ქვათაცვენის რისკების შემცირება.

კონკრეტული რისკების მოხსნით, კლდის 2 ლოდის გამაგრებით, აღმოიფხვრება კომპლექსის ფრაგმენტის განადგურების საშიშროება და უზრუნველყოფილი იქნება ვიზიტორებისა თუ მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება.

კვლევით სამუშაოებს ხელმძღვანელობას და კოორდინირებას გაუწევს პროფესორი კლაუდიო მარგოტინი, იტალიის გეოლოგიური კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, იუნესკოს კონსულტანტი, იაპონიის კიოტოს უნივერსიტეტის მეწყრების საერთაშორისო კონსორციუმის ვიცე-პრეზიდენტი. მისივე კოორდინირებით მოხდება დარგობრივი საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა – შემდეგი სამუშაოებისათვის: ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ქვათაცვენის რისკების პირველადი რუკის შედგენა; ვარძიის კლდის ცალკეული, შერჩეული უბნების გადარჩენითი გადაუდებელი ჩარევების განხორციელების მეთოდოლოგიური კონსულტაციები და ქართველ სპეციალისტებთან ერთად შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელება, რაც გულისხმობს კლდის 2 ლოდის გადაუდებელ კონსოლიდაციას. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში დაინსტალირებული ინტეფერომეტრიული რადარის მონაცემების დამუშავებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ქართველი სპეციალისტებისათვის სატრენინგო კურსის განხორციელება. ქართველი სპეციალისტებისათვის კლდის გამაგრების საერთაშორისოდ დანერგილი მეთოდოლოგიის სატრეინინგო კურსის განხორცილება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ვარძიის ინფრასტრუქტურის მოწყობა და კომპლექსის დაზიანებული წყალამრიდი არხებისა თუ დამცავი კედლების რეაბილიტაცია.

ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსზე ვიზიტორების უსაფრთხოების დასაცავად, ასევე ძეგლის მთლიანობის შესანარჩუნებლად მოხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სავალი ბილიკების, კარიბჭის, ღობეების, მოაჯირების, კიბეებისა და კომპლექსის განათების მოწესრიგება. სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვებიან ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ცნობილი ეკონომისტის, ბატონი

**თეიმურაზ კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და მეგობრებს.

მეუღლე ლუიზა რჩეულიშვილი, შვილები გიორგი და ლია, რძალი მეგი აბესაძე, შვილიშვილები ლევანი და ლაშა, ძმები ავთანდილი და ვალიკო ოჯახებით, და ჟუჟუნა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლევან სვიმონის ძე ლევერაშვილი**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 11 სექტემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ბუხაიძის ქ.№27.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნინო სურგულაძე შეყვარებულია

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე შეყვარებულია. მისი „რჩეული" ბულგარელი მოხუცი დობრი დობრევია, რომელიც თავისი ქველმოქმედებით გახდა ცნობილი. საოპერო მომღერალი თავის გრძნობებს აღარ მალავს და ამაზე საჯაროდ სოციალურ ქსელში წერს:

„ეს ადამიანი ჩემი და ბევრი სხვა ადამიანის გმირია... ნამდვილი კაცი... ნამდვილი ადამიანი... საოცრად დიდი სურვილი მაქვს ვნახო და მაგრად მაგრად ჩავეხუტო. ის 98 წლის მოხუცია. დობრი დობრევი ბულგარელია და სოფიასთან ათ კილომეტრში ცხოვრობს. მთელი ცხოვრება მოწყალებას ითხოვდა სოფიას ქუჩებში და 40.000 ათასი ევრო დააგროვა, მაგრამ თავისთვის არცერთი კაპიკი არ დაუტოვებია. მთელი თანხა ქველმოქმედებისთვის გაიღო და უდედმამო ბავშვთა სახლებს გადასცა. ის კვლავ ცხოვრობს სახელმწიფო პენსიაზე, რომელიც 80 ევროს შეადგენს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი რამ გავიგე! რაოდენ დიდი სიყვარულია ამ ადამიანის გულში! სამამულო ომში მიღებული ტრავმის შედეგად სმენა დაკარგა დობრიმ, მაგრამ მის გულს ყველაფერი ესმის! მიყვარხარ დობრი! კიდევ დიდხანს იცოცხლე!"

ნინო სურგულაძე თავადაც არის ქველმოქმედებით დაკავებული. მან ცოტა ხნის წინ საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე" დააარსა, რომელიც იმ ადამიანებს ეხმარება, ვისი ჯანმრთელობაც საფრთხის ქვეშ არის და სასწრაფო სამედიცინო ჩარევას საჭიროებს.

ამის პარალელურად, ნინო სურგულაძე ყინულიანი წყლის გადასხმით დაწყებულ სახალისო საქველმოქმედო აქციაშიც ჩაერთო. მან გამოწვევა ქართველი კალათბურთელისგან ზაზა ფაჩულიასგან მიიღო. მომღერალმა არა მარტო ყინულიანი წყალი გადაისხა, არამედ დაავადებული სალომე ქურასბედიანის დასახმარებლად თავისი საქველმოქმედო ფონდ „ნატვრის ხიდან" 500 ლარიც გადარიცხა. ამავე აქციაში საოპერო მომღერალმა ნინო ანანიაშვილი, სოფო შევარდნაძე, დუტა სხირტლაძე და ასევე თავისი იტალიელი მეგობარი გამოიწვია.

# მაკა ზამბახიძემ ბავშვობის ოცნება აიხდინა

ეკა ირემაშვილი

დუეტ „ჯორჯიას" ერთ-ერთმა წევრმა მაკა ზამბახიძემ ბავშვობის ოცნება აიხდინა და მუსიკალური სტუდია გახსნა. როგორც ჩანს, სიმართლეს შეეფერება ჭორები იმის შესახებ, რომ დუეტი „ჯორჯია" დაიშალა და მაკამ და რატიმ ცალ-ცალკე გადაწყვიტეს მუსიკალური კარიერის გაკეთება. ამ ინფორმაციას მაკა ზამბახიძე ჟურნალისტებს არ უდასტურებს და მოუწოდებს, ამავე კითხვით მათ რატი დურგლიშვილს მიმართონ. რატი დურგლიშვილი აპირებს მომავალი მომღერლები მამასთან, კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილთან ერთად სტუდია „მთიებში" აღზარდოს, არადა, სულ ცოტა ხნის წინ, ორივე მომღერალი სიამაყით და სიხარულით აცხადებდა, რომ დუეტმა „ჯორჯიამ" გახსნა სტუდია „ესა მესა", სადაც ბავშვებთან უშუალოდ მაკა და რატი იმუშავებდნენ და მათ ნამდვილ მომღერლებად ჩამოყალიბებაში თავიანთ მოკრძალებულ წვლილს შეიტანდნენ. როგორც ჩანს, დუეტ „ჯორჯიას" წევრებს შორის შავმა კატამ გაირბინა და ორივემ ცალ-ცალკე მოღვაწეობა გადაწყვიტა.

მაკა ზამბახიძემ მუსიკალური სტუდია უკვე გახსნა და მას „მაკა სტუდიო" დაარქვა. სტუდია თბილისში მდებარეობს და იქ 3-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს შეეძლებათ მუსიკალურ განათლებას დაეუფლონ.

„გავხსენი სტუდია, რომელიც ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. აქ იდეალური გარემო იქნება და ყველას, ვისაც სურვილი აქვს, გახდეს წარმატებული სცენაზე, მოვიდეს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. ჩემთან მსურველები ვოკალის გარდა, შეისწავლიან პლასტიკას და მეტყველებას, რაც აუცილებელი და საჭიროა სცენაზე წარმატებისათვის. გარდა ამისა, სტუდია ყველა წარმატებულ ფესტივალსა და კონკურსზე გაივლის აკრედიტაციას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სტუდიის წევრების მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებსა, თუ კონკურსებში", – აცხადებს მომღერალი.

სტუდიაში მუშაობის პარალელურად, მაკა ზამბახიძე არც კონცერტებში მონაწილეობაზე ამბობს უარს. ის ამ უქმეებზე ურეკში სეზონის დახურვისადმი მიძღვნილ საზეიმო გალაკონცერტში მონაწილეობისთვისაც მიიწვიეს. „ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა" – ასე ეწოდებოდა საღამოს, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ეგიდით ჩატარდა. კონცერტის ორგანიზატორებმა გალა-კონცერტში მაკა ზამბახიძის გარდა ცნობილი სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ანრი ჯოხაძე და ჯგუფი „ქუჩის ბიჭები" ჩართეს.

# ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი დაიხურა

ეკა ირემაშვილი

ნიქოზის ანიმაციური ფილმების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი გერმანელი რეჟისორის რაიმუნდ კრუმეს ფილმების ჩვენებითა და გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტით ოფიციალურად დაიხურა. ღონისძიებაზე დასწრების სურვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმაც გამოთქვა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ნიქოზის ანიმაციური ფილმების სკოლა და კულტურის სახლი ნიქოზის ანიმაციური ფილმების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალს 1-დან 6 სექტემბრამდე მასპინძლობდა.

5 დღის განმავლობაში ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა იაპონური, გერმანული, რუსული, ბულგარული, პოლონური და იტალიური ანიმაციური სტუდიების მიერ შექმნილი ფილმები და ესკიზები, ასევე გაიმართა სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენა და კლასიკური მუსიკის კონცერტი.

ცხინვალის რეგიონის მოსაზღვრე სოფელ ნიქოზში ანიმაციური ფილმების ყოველწლიური ფესტივალი „ნიქოზი" 2011 წლიდან ტარდება და მასში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი ანიმატორები. ფესტივალის ფარგლებში სისტემატურად იმართება მასტერკლასები ქართველი ანიმატორებისთვის.

ფესტივალის მიზანია საქართველოს ერთ-ერთ ურთულეს და პოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში, ლიახვის ხეობის სოფელ ნიქოზში, ხელოვნების სკოლის აღსაზრდელთა და სხვა რეგიონების ახალგაზრდა ანიმატორთა პროფესიული ზრდა, საქართველოში ანიმაციის განვითარება და რეგიონის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება. ნიქოზის ფესტივალის თავისებურება ისიცაა, რომ აქ რეჟისორები ერთმანეთს არ ეჯიბრებიან და ყველა ნამუშევარი უკვე გამარჯვებულია.

წელს ფესტივალში მონაწილეობდნენ ანიმაციური ფილმების ტელესტუდია „პოზნანი" პოლონეთიდან, ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სამხატვრო ხელმძღვანელი მარსელ ჟანი საფრანგეთიდან, რეჟისორი საჩიკო კონდო იაპონიიდან, კომპოზიტორი ანდრეა მარტინონი იტალიიდან, რეჟისორი კელი ლუსლი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სტუდია „ანიმოსი" რუსეთიდან, რეჟისორი რაიმუნდ კრუმე გერმანიიდან, პროდიუსერი რონ დაიმონდი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ფრანგი მეთოჯინე მონიკა შეგანი საფრანგეთიდან და პროდიუსერი ოლივიე კატერინი ასევე საფრანგეთიდან.

ფესტივალი წელს პირველად მისი ინიციატორისა და დამაარსებლის, ცხინვალი-ნიქოზის ეპარქიის მიტროპოლიტის ისაიას (ჭანტურია) გარეშე ჩატარდა. მიტროპოლიტი ოთხ თვეზე მეტია ოკუპირებულ ახალგორში იმყოფება. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები მისი გადაადგილებისთვის აუცილებელი საშვის გაცემას აჭიანურებენ, ამიტომ მეუფე ისაია ახალგორს არ ტოვებს, რადგან ახალგორში არსებულ ეკლესია-მონასტრებში, საშვის გარეშე დაბრუნება უკვე შეუძლებელი იქნება. ახალგორიდან მიტროპოლიტმა ვიდეოჩანაწერი გამოგზავნა და ფესტივალის სტუმრებს მიმართა:

„ჩვენთვის ხელოვნება ის სამყაროა, რომელშიც ადამიანი შეიძლება მიემსგავსოს თავის შემოქმედს, ის სფეროა, რომელშიც ადამიანს შეუძლია შექმნას, დახატოს, იაზროვნოს, განიცადოს და სხვასაც განაცდევინოს სევდა, თანაგრძნობა, ტკივილი თუ სიხარული. ეს არის საშუალება თვითონაც ეძებოს და სხვასაც დაეხმაროს ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის ძიებაში".

საერო ცხოვრებაში მეუფე ისაია თვითონ იყო ანიმატორი და სწორედ ამ პროფესიის სიყვარულმა გადააწყვეტინა, რომ ნიქოზში საერთაშორისო ფესტივალი დაეფუძნებინა და ბავშვებისთვის ხელოვნების სკოლა შეექმნა. ამ სკოლაში ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებიდან ყოველდღიურად ასამდე მოსწავლე დადის. ნიქოზში საორგანიზაციო საკითხებით ახლა რეჟისორი გელა კანდელაკია დაკავებული, რომელიც მეუფე ისაიას დიდი ხნის მეგობარია. მისი თქმით, საერთაშორისო ფესტივალი მასშტაბებს ყოველწლიურად აფართოებს.

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
10 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.30 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" 14.00 "სამოთხის ვაშლები" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 მხ/ფ "**ცხოვრება ისეთი, როგორიც არის**" 00.00 მხ/ფ "**უძღები შვილი**" 01.50 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 11.00 დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან" 12.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 16.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 22.00 დ/ფ "მოკლე ამბები სიყვარულზე, რომელიც გრძელდება" 23.00 მხ/ფ "**წყვდიადი**" 2 სერ.

08.00 სერ. "**შურისმაძიებელი**". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბედის ანაბარა**". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "**სილა**" 14.40 სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 9 სერ. 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში 2**" 00.00, 01.00 სერ. "20 **წუთი**" 02.00 სერ. "**სიყვარულის სეზონი**" 03.40 მხ/ფ "**მიყვარხარ ფილიპ მორის**" (ჯ.ქერი)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 22.00 გააცინე და მოიგე 23.30 "ვინ დაამარცხებს ვასოს" 00.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 **სერიალი "ლენა"** 10.00, 18.00 მენტალისტი 11.00, 15.00, 22.00, 00.10 მხ/ფ 13.00, 21.00 ინტერესის ობიექტი 14.00 სტილის სამყარო 19.00 ვარსკვლავთა ცხოვრება 19.30 URBAN STORIES 20.00 დ/ფ 23.40 კიბერჰაუსი 01.40 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 "ცოდნა და რწმენა" - შუშანიკის წამება (ლიტერატურული თეატრი) 13.45 კონცერტი - ანს. "**რუსთავი**" 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "**ბელურების გადაფრენა**" 16.25 დეკორატიული ფლორა 16.35 დიდ ხარ შენ, უფალო 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "თვენი" - წმინდა დიდმოწამე შუშანიკ დედოფალი 23.40 ჩვენი ფონდი - მამა ზურაბი - წმინდა დიდმოწამე შუშანიკი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ელენე, ტროას დედოფალი**" I ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.15 ფარული კამერა 8.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.05, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.10 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 **მინისერიალი "საუკუნის შტორმი"** სერ.2 ნაწ.1, სერ.2 ნაწ.2

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1.7457 | ევრო — 2.2596 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8142 | 100 რუსული რუბლი — 4.7071 |

## ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### ბრიტანული წყვილის საუკეთესო სელფი



ბრიტანელმა ახლად შეუღლებულმა წყვილმა ენდრიუ და სალი როუზ რობინსონებმა „მსოფლიოში საუკეთესო სელფის" პრიზი მიიღეს. წყვილმა ავტოპორტრეტი ლანკშირის ეკლესიაში ჯვრისწერის დასრულებიდან რამდენიმე წამში გადაიღო. სურათზე ახლად დაქორწინებულები სტუმრების ფონზე თავს საქორწინო ბეჭდებით იწონებენ. აღსანიშნავია, რომ სელფის გადაღების უფლება მათ ადგილობრივი ეპარქიისგან მიიღეს.

რობინსონის თქმით, მას და მის მეუღლეს ძალიან მოეწონათ ავტოპორტრეტი და ამიტომ გადაწყვიტეს მისი ფეისბუქში გამოქვეყნება.

— გაოცებული დავრჩი, როდესაც შევიტყვე, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, — განაცხადა ბრიტანელმა მამაკაცმა.

თავის მხრივ, მისმა მეუღლემ განაცხადა, რომ სოციალური ქსელების თაყვანისმცემელი არ არის და არ იცოდა, რომ მისმა მეუღლემ სელფი კონკურსზე გააგზავნა. ახლად დაქორწინებულთა ავტოპორტრეტმა 300 კონკურენტ ფოტოსურათს აჯობა.

### ჭაობში ჩავარდნილმა ცხენმა ორი დღე გაძლო

ესტონეთის ტარტუს ოლქში ცხენი ჭაობში აღმოჩნდა და იქ ორი დღე დაჰყო, სანამ ის მაშველებმა არ ამოიყვანეს, იტყობინება ესტონური გაზეთი პოსტიმეესი.

ჭაობში ჩავარდნილი ცხენის გადარჩენაში მაშველთა ექვსკაციანი ბრიგადა და ტრაქტორი მონაწილეობდა. მაშველებს ცხოველის გადასარჩენად არხის გაჭრა დასჭირდათ, ხოლო მას შემდეგ, რაც ცხენი ჭაობიდან გამიყვანეს, მისმა პატრონმა ის თავის ფერმაში წაიყვანა.

### სკარლეტ იოჰანსონი დედა გახდა



ჰოლივუდელი მსახიობი სკარლეტ იოჰანსონი პირველად გახდა დედა, ვარსკვლავის წარმომადგენელ მარსელ პარიზზე დაყრდნობით იტყობინება ასოშეიტედ პრესი.

მისი თქმით, 29 წლის მსახიობმა და მისმა საქმრომ, ფრანგმა რომენ დაურიკმა ახლად დაბადებულ გოგონას როუზი დაარქვეს. მან იქვე დაამატა, რომ წყვილი აპირებს საგანგებო ღონისძიებებს მიმართოს, რათა თავიანთი პირმშო პრესის ყურადღებისგან დაიცვან.

სკარლეტ იოჰანსონისა და მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმები დადებითად აფასებენ, განაცხადა პარიზიმ.

შეგახსენებთ, რომ სკარლეტ იოჰანსონი ისეთ ფილმებშია გადაღებული, როგორებიცაა „ლიუსი", „შურისმაძიებლები" და „ჰიჩკოკი".

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ოთარ კობერიძეს ანაბეჭდს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი



10 სექტემბერს ქართული თეატრის ვარსკვლავს ოთარ კობერიძეს ანაბეჭდს გაუხსნიან. საზეიმო ღონისძიება საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის უკვდავთა თაღში გაიმართება, სადაც უკვე გახსნილია ოთარ მეღვინეთუხუცესის, ელდარ შენგელაიას, კახი კავსაძის, გივი ბერიკაშვილის, რეზო ჩხეიძისა და პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები.

ანაბეჭდების საზეიმო გახსნამდე ხელოვნების სასახლეში გაიმართება წიგნ „ლია ელიავას" პრეზენტაცია, რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით გამოვიდა. კრებული ქართული კინოს ვარსკვლავის, პოპულარული კინომსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ლია ელიავას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. პროექტის ავტოები არიან ნანა კობერიძე და ანა მანჯგალაძე. წიგნის შემდგენელი და რედაქტორია კინომცოდნე მარინა კერესელიძე, მხატვრული გაფორმების კონცეფციის ავტორი — მხატვარი ვახტანგ რურუა. წიგნი განკუთვნილია კინოხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის. მასში შევიდა თვით ლია ელიავას მოგონებები ცხოვრებასა და კინოხელოვნებაში განვლილ გზაზე. მსახიობს იგონებენ მისი პედაგოგები, კოლეგები და მეგობრები — რეჟისორები აკაკი დვალიშვილი და ლილი იოსელიანი, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, კინორეჟისორები ლანა ღოღობერიძე, ნანა ჯანელიძე, მარინა წურწუმია, ჟურნალისტები სანდრო მამასახლისი და ლია წილოსანი, კომპოზიტორი გია ყანჩელი, მხატვრები მერაბ ბერძენიშვილი და ზურაბ ნიჟარაძე. ტექსტი გაცოცხლებულია მდიდარი ფოტომასალით, კადრებით ფილმებიდან, ლია ელიავას სხვადასხვა დროის პორტრეტებით, ფოტოებით ოჯახის არქივიდან, სამუშაო მომენტების, მრავალრიცხოვანი შეხვედრებისა და მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათებით. წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" დასტამბა.

## ქეთი დოლიძე: „სირცხვილია!"

ეკა ირემაშვილი



კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ქეთი დოლიძე აცხადებს, რომ არც სახელმწიფოს და არც კულტურის სამინისტროს თეატრისთვის ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე მგზავრობის და იქ ერთი თვე ცხოვრების ფული არ მიუცია:

„არც სახელმწიფოს, არც კულტურის სამინისტროს ჩვენთვის მგზავრობის და იქ ერთი თვის ცხოვრების ფული არ მოუცია! მე მაინც მადლობას ვეუბნები მათ, რომ დადგმის ფული მოგვცეს და დაგვიმატეს თანხა, რომ ამხელა პროექტი არ ჩავარდნილიყო, რადგან ფესტივალი და ორუელის სახლი დიდ სანქციებს დაგვაკისრებდა, აღარაფერს ვამბობ ჩვენი ურთიერთობების სამუდამო დასრულებაზე და სირცხვილზე. ამიტომ ეს პროექტი ფესტივალმა „საჩუქარმა" დაასრულა და წარმატებითაც. სირცხვილია, დიდი სირცხვილი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ორი დღეა ქუჩაში მხვდება და თავის სიყვარულს მიზიარებს, ყველას, ვინც ფეისბუკის მეშვეობით მამხნევებს. ჩემს თეატრს კიდევ ერთხელ ვულოცავ გამარჯვებას".

რეჟისორი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში მასსა და რობერტ სტურუაზე გასულ სიუჟეტსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს ტელეკომპანია მისგან კომენტარს ვეღარასოდეს ეღირსება:

„ერთი რამე უეჭველია: არასდროს, აღარასდროს რუსთავი 2 ჩემგან კომენტარს ვერ ეღირსება. მათი მოწოდება მხოლოდ ტყუილია! რადგან კომენტარზე დავთანხმდი, პირობაც მომცეს, რომ გარკვეულ ფრაზებს არ ამოიღებდნენ. მაია ლომიძემ „ოსტატურად"ააწყო სიუჟეტი. მაესტროს პასკვილი მთლიანად წაიკითხა, ჩემი სტატუსი კი მხოლოდ თავისი ინტერპრეტაციით გაგვაცნო. რუსთავი 2 არც კი შეწუხდა იმით, რომ თეატრისთვის წარმატება მიელოცა და ერთი მსახიობის კომენტარი მაინც ჩაეწერა. როდის აქეთ გახდნენ რობიკო სტურუას აპოლოგეტები? ყველაზე ამაზრზენი სიუჟეტები რობერტ სტურუაზე ხომ სწორედ რუსთავი 2-ის ეთერით გადიოდა? ეტყობა მაესტრო სტურუას ეს აღარ ახსოვს. სწორედ რუსთავი 2-ის სიუჟეტების გამო, რომელიც სტურუას ეხებოდა, სამუდამოდ მოვიკვეთე ფეხი ამ ტელევიზიიდან. დიდ მაესტროს კი ეს აღარ ახსოვს... რას იზამ... რობერტ დე ნირომ თქვა ერთხელ შონ პენზე „ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად დიდი მსახიობია შონი.. მთავარია, რომ ის დიდი ადამიანიაო!" ფესტივალი კი აუცილებლად გაიმართება! რუსთავი 2 – სკანდალების და დაპირისპირების ასპარეზი! მშვიდობით!"

როგორც რეჟისორი აცხადებს, „ეტყობა, აუცილებელია თავდაცვა", ამიტომაც ქეთი დოლიძე აქვეყნებს იმ წერილებს, რომლებიც მან რობერტ სტურუას მისწერა იანვარში, მაისში და აგვისტოში:

„აი, თურმე როგორ ვიტყუები, რა დასანანია: „ჩემო რობიკო, მალე კი ჩამოდიხარ, მაგრამ მაინც წინ წავიგდებ საქმეს... 17-31 ოქტომბერს „საჩუქარი" გვექნება. ისევ მაქვს შენი დახმარების იმედი, რადგან დიდი ფორმატის სპექტაკლები ჩამოგვაქვს. დარწმუნებული ვიყავი, რომ კალიაგინთან დადგმული ბოლო შექსპირი ჩამოგქონდა, არ ვიცი, გადაიდო? ჩვენთან ჩამოდის „სამი და" კონჩალოვსკის, ტუმინასის „ძია ვანია", კრიმოვის „პოზნაია ლუბოვ"... „და რაც მთავარია 17-18 ანი ბოგარტის „რადიო-მაკბეტი" ნიუ იორკიდან. კიდევ ერთი: ახლა მომიტანეს ზაზა პაპუაშვილის მიერ „ჩასწორებული" კანონი თეატრების შესახებ! რა უბედურებაა! რა ემართებათ ამ ხალხს ამ დედანატირებ პარლამენტში რომ ხვდებიან? და რატომ უნდა უნდოდეს საერთოდ ნიჭიერ არტისტს პოლიტიკოსობა, რა ჯანდაბაა. აბსოლუტურ ბოდვას წერს. თუ არ გაქვს, გადმოგიგზავნი..." „რობიკო, ძალიან მინდოდა შენი ნახვა და არ მოხერხდა. ძალიან გთხოვ, შენი ახალი სპექტაკლი „საჩუქარზე" ითამაშოთ და გთხოვ, რომ 17-დან 31-მდე ფესტივალის 3 სპექტაკლს უმასპინძლო. ეს არის 17, 18 ანი ბოგარტის „რადიო მაკბეტი", დიმა კრიმოვის „გვიანი სიყვარული" და ტუმინასის „ძია ვანია..."

გამოქვეყნებული წერილების ბოლოს კი ქეთი დოლიძე საბოლოო დასკვნას აკეთებს: „დედანატირები პარლამენტი" ეკუთვნის ნაციონალების ფრთას!"



## იუმორი

კაცს ფსიქიატრიული საავადმყოფოს წინ მანქანაზე ბორბალი მოსძვრა. დგას და ვერ მოუფიქრებია, რა მოუხერხოს. ამ დროს ფანჯარაში კაცმა თავი გამოყო და ეუბნება:

— სამ ბორბალზე თითო-თითო ჭანჭიკი მოხსენი, მეოთხეს გაუკეთე და ასე მიაღწევ სახლამდე.

გაოცებული კაცი შესძახებს: ეს თავად როგორ ვერ მოვიფიქრე, შენ საგიჟეთში რა გინდა...

— გიჟი კი არა, მლესავი ვარ!

●●●

ეგვიპტეში ჩასული ქართველი ტურისტი ხედავს, რომ ბედუინი კარვის წინ დგას და ხალიჩას ფერთხავს.

— რა, ძმაო, არ იქოქება?
— ეკითხება ქართველი ტურისტი.

●●●

ბავშვი სკოლაში ტუჩდასიებული მივა. მასწავლებელი ეკითხება:

— რა მოგივიდა?

— გუშინ მე და მამა ნავით ტბაზე ვიყავით სათევზაოდ და ტუჩზე ბზიკი დამაჯდა.

— გიკბინა?

— ვერ მოასწრო, მამამ ნიჩაბით მოკლა!

●●●

ექიმთან მიღებაზე.

— თქვენს მეუღლეს აბსოლუტური სიმშვიდე სჭირდება, დამამშვიდებელ წამალს გამოვწერ, — ეუბნება ექიმი ქალს.

— და როდის უნდა მიიღოს? — ეკითხება ქალი.

— მან არა, თქვენ უნდა მიიღოთ.

●●●

კაცი ღმერთს ესაუბრება და ეკითხება:

— უფალო, რატომაა ასე, რომ ყველა გოგონა ნაზი, მომხიბვლელი და ალერსიანია, ხოლო ყველა ქალი ანჩხლი და თავისმომაბეზრებელი?!

— გოგონებს მე ვქმნი, — პასუხობს ღმერთი, — ხოლო მათ ქალებად თქვენ გარდაქმნით...

●●●

ფრანგ მამაკაცს ეკითხებიან:

— უფრო მეტად რომელი მოგწონთ, ღვინო თუ ქალები?

— ეს მისი გამოშვების თარიღზეა დამოკიდებული, — პასუხობს ფრანგი.

●●●

ქალებით სავსე ავტობუსში მანიაკი შეიჭრება და დაიყვირებს:

— ახლა ყველას გაგაუპატიურებთ!

— იქნებ ხანდაზმულები დაინდოთ და ხელი არ ახლოთ! — შეევედრა გოგონა.

— რადგან თქვა, ყველასო, ე.ი. ყველას! — პასუხობს მოხუცი ქალბატონი.

●●●

მანქანის საჭესთან მჯდომი ცოლი ქმარს ეუბნება:

— ერთი შეხედე რა, ეს ფეხითმოსიარულე ნამდვილი თვითმკვლელია, უკვე რამდენი ხანია ჩვენი მანქანის წინ მირბის, როგორ მოვიქცე?

— მანქანა ტროტუარიდან გადაიყვანე!

●●●

კაფეში კლიენტი ბარმენს შეკვეთას აძლევს:

— თუ შეიძლება, ყავა სიგარეტით!

— გავაზავო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად**; 1. მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა რაიმე პრობლემური საკითხის გამო; 2. პატარა მოთხრობა; 3. საჭრისი სამაგრი, სახარატო ჩარხის ნაწილი; 4. ხარის, კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგი ფილოსოფოსი; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

**თარაზულად**; 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. ისლამისტთა ულტრა-ნაციონალისტური ორგანიზაცია; 11. რადიაქტივობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 12. ბალეტ „დონ-კიხოტის" მუსიკის ავტორი; 14. სტადიონი მეხიკოში; 15. თევზის კვერცხები; 16. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ასტროპროგნოზი 10 სექტემბრისთვის

**ვერძი** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოებისთვის. **კურო** — შემოქმედებითი დღეა. იაქტიურეთ. **ტყუპები** — დღეს გიმართლებთ. თამამად წამოიწყეთ ახალი საქმე. **კირჩხიბი** — წინსვლა გელით პროფესიულ საქმიანობაში. **ლომი** — ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** — საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი სითბო გამოიჩინეთ. **სასწორი** — დაივიწყეთ ძველი წყენა, იყავით მიმტევებელი. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** — საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** — სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიანი ურთიერთობების დროს. **მერწყული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** — ძალები მოიკრიბეთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი